პროლეტარებო ყველა მხეთნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (9929) | ოთხშაბათი, 30 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე ყრილობა, რომელიც დღეს იხსნება, დიდი მოვლენაა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. ყრილობა შეაჯამებს და განაზოგადებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიერ მესამე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში შეძენილ მდიდარ შემოქმედებითს გამოცდილებას, ამასთანავე გაარკვევს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დღემდე არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა მიზეზებს და დასახავს ამ ნაკლოვანებათა დაძლევისა და გადალახვის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აღმავლობის გზებს.

მესამე ყრილობიდან დღემდე განვლილი პერიოდი ხასიათდება საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი აღმავლობით, რაც მიღწეულია კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებით, რომლებშიც ცხოვრების ღრმა ცოდნით არის აღბეჭდილი საბჭოთა თანამედროვეობა, ჩვენი დიადი ეპოქის მოწინავე ადამიანთა სახეები. საბჭოთა მწერლები სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ხელმძღვანელობენ. მათი შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის უოვლისმძლე იდეები, ხალხისადმი პარტიის გმირული სამსახური.

მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა მწერლობამაც. უკანასკნელ წლებში შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებშიც მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი მწერლობის მძლავრი შემოქმედებითი ზრდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ქართველი მწერლების მთელ რიგ უველაზე თვალსაჩინო და შესანიშნავ ნაწარმოებებს სტალინური პრემიები მიენიჭა.

მიღწევები აშკარა და მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ქართველ მწერლებს პარტია და ხალხი უყენებენ. ჯერ კიდევ გადაუჭრელია ბევრი საყურადღებო ამოცანა. მხატვრული სიტყვის ოსტატები სუსტად მუშაობენ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თემატიკაზე. ძალზე ცოტაა კარგი ნაწარმოები ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების ადამიანებზე, ბრძენ მუშათა კლასზე, კოლმეურნე გლეხობაზე, მექანიზატორებზე, ინტელიგენციაზე. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ასახა ჩვენი ხალხის ომისშემდგომი ცხოვრება.

განსაკუთრებით ჩამორჩება ქართული საბჭოთა პროზა. ამის მიზეზი ის არის, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატები ახლოს არ იცნობენ თავიანთი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს: მრეწველობას, კოლმეურნეობას, მათს ტექნიკას, კულტურასა და ყოფაცხოვრებას. ქართველი მწერლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უახლოეს დროში პროზა ჩვენი ლიტერატურის მოწინავე ქანრად აქციონ.

კვლავ ჩამორჩენილი უბანია ლიტერატურული კრიტიკა. ბევრ კრიტიკოსს აქვს ცხოვრების ცოდნა, თეორიული ომზადება, იმის უნარი, რომ მონახოს და გამედიერებულად დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, ღრმა ანალიზი გაუკეთოს ნაწარმოებთა მხატვრულ მხარეს, განაზოგადოს მწერალთა ამოცდილება. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები და განსაკუთრებით „ლიტერატურული გაზეთი“, ჟურნალი „მწათობი“ სუსტად ეხმაურებიან კრიტიკოსთა ძალებს, ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა კრიტიკოსთა აღზრდისათვის.

უკონფლიქტობის მავნე „თეორიამ“ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი მწერლობის განვითარებას. იგი ხელს უშლიდა შემოქმედს ღრმად, სიმართლით აესახა ჩვენი სინამდვილე, მოწინავე საბჭოთა ადამიანების მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებასთან ერთად ეჩვენებინა უარყოფითი მოვლენები და ხასიათები, გადედულად დაეხატა ცხოვრების კონფლიქტები, შეჯახებები ახლისა ძველთან. მხარდისა მომაკვდავთან. კომუნისტურმა პარტიამ ეს მავნე „თეორია“ დროულად უარყო და საბჭოთა მწერლებს ყველა პირობა შეუქმნა შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაფურჩქნისათვის.

მაგრამ ზოგიერთი მწერალი ღრმად ვერ ჩაწვდა კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხის ძირითად მოთხოვნილებებს, არასწორად გაიგო ბრძოლა უკონფლიქტობასთან და თავის ნაწარმოებებში სინამდვილის დამახინჯებული სურათი დაგვიხატა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დრამატურგიაში.

ყრილობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა გაამახვილოს ასეთ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

ახალ ნაწარმოებთა ფართოდ განხილვა ლიტერატურის მოღვაწეთა იდეურ-მხატვრული აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. მაგრამ საინტერესო, მწვავე, ცოცხალი და დასაბუთებული განხილვა, რომელიც საფუძვლიანად ეხება შემოქმედების საარსებო პრობლემებს, დღემდე ძალიან იშვიათად ეწყობოდა. ზოგჯერ იყო ზედმეტი სასხდომო ფუსფუსიც, რომელიც სრულებით არ შეეფერება შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობას და აცილებს ყურადღებას მთავარს, არსებითს. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმებზე და სექციების სხდომებზე მრავალჯერ არის განხილული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, საბავშვო მწერლობის, კრიტიკის საკითხები. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ მოწინავე მწერლები, იწერებოდა საკმაოდ ვრცელი დადგენილებები, მაგრამ ამ სიტყვებს, ამ დადგენილებებს ყოველთვის როდი მოსდევდა ცოცხალი საქმე, ყოველთვის როდი იგრძნობოდა შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკული შედეგი. რა თქმა უნდა, ასეთ სხდომებსა და დადგენილებებს არავითარი ფასი არა აქვს.

ყრილობაზე ფართოდ უნდა გაიშალოს პრინციპული და მომთხოვნელი კრიტიკა. საბჭოთა მწერალს არ უნდა ეშინოდეს მოისმინოს სამართლე თავის თავზე, რადგან ნაწარმოების არსებითი განხილვა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების მზის სინათლეზე გამოტანა მწერლის მხატვრული აღზრდის საუცხო სკოლაა. ხშირად კრიტიკას აგებენ რანგების მიხედვით. რაც უფრო დიდია ოსტატი, მით უფრო ნაკლებია და მობოდიშების ტონის არის კრიტიკა მისი მისამართით. ასეთი მავნე ტონი ყრილობაზე არ უნდა იქნას დაშვებული. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ „კრიტიკას“, რომელიც ემყარება ჭვრიელმან, პირადულ კინკლაობას ანდა უპრინციპო, ძმაბიჭურ ინტერესებს. სამწუხაროდ, ამის გამოვლინებანი ზოგჯერ იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების განვლილ პლენუმებზე.

ყრილობაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ კომუნიზმის მშენებელი ხალხის ყოველდღიური სალაპარაკო ენა დაუშრეტელი წყაროა, რომლითაც საბჭოთა მწერალმა უნდა გაამდიდროს და განავითაროს ლიტერატურული ენა.

ყრილობა საქართველოს საბჭოთა მწერლების მუშაობას შეაფასებს იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ მხატვრული ლიტერატურის წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, როგორ გამოეხმაურნენ ჩვენი მწერლები პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, როგორ ასახეს საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირის — კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო, ძველისა და ახლის ბრძოლა, ძველის, დრომოჭმულის გადმონაშთების დაძლევა ადამიანთა შეგნებაში.

საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურაა. იგი მოწოდებულია აღზარდოს ჩვენი ადამიანები ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით, ამხილოს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები, მაღლა ეჭიროს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დროშა.

ეჭვი არ არის, საქართველოს ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — ქართველი საბჭოთა მწერლები თავიანთ ყრილობას მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე ჩაატარებენ, ღრმა ანალიზს გაუკეთებენ განვლილ მუშაობას, ჯანსაღად, კრიტიკულად განიხილავენ როგორც მწერალთა კავშირის გამგეობის, ისე სექციებისა და ცალკეული მწერლების შემოქმედებითს მუშაობას, დააყენებენ აქტუალურ საკითხებს და ამით მტკიცე საფუძველს შექმნიან საბჭოთა სინამდვილის სრულყოფილი ასახვისათვის, ეპოქის შესაფერის მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე ყრილობა

დღეს, 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 12 საათიდან 4 საათამდე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში (მაჩაბლის ქ. № 13).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობას და მისი სახით საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის უველა წევრს.

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია ყოველთვის აქტიურად ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებაში, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებასა და განმტკიცებაში და ამით ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და სახალხო მოხმარების უველა საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გადიდებისათვის, კიდევ უფრო ძლიერდება სამომხმარებლო კოოპერაციის — სოფლად ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციის როლი. კოოპერაციული ორგანიზაციების პირველი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ კოლმეურნეების, სოფლის ინტელიგენციის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშების მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე, ხოლო კოლმეურნეობებისა — საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების საქონელზე. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ უმოკლეს ვადაში ძირეულად გაუმჯობესონ კოოპერაციული ვაჭრობა და უზრუნველყონ მოსახლეობისათვის უველა საჭირო საქონლის შეუფერხებელი გაყიდვა თვითეულ სასოფლო რაიონში, ყოველი ღონისძიება იხმარონ სოფელში გასაგზავნი საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უფრო ფართოდ გაშალონ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი და გააუმჯობესონ მისი მუშაობა. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს ის, რომ სავსებით დააკმაყოფილონ სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კულტურული დანიშნულების საქონელზე და გააუმჯობესონ წიგნის ვაჭრობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი და სისტემატური ზრდა მტკიცედ მოითხოვს უველა კოოპერაციული ორგანიზაციისაგან ძირეულად გაუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის მოწყობა. სამომხმარებლო კოოპერაციის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და ყველა კოლმეურნეს მათი პროდუქციის გასაღებაში და ამით ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ ზრდას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საჭიროა უფრო სრულად მოვიხმაროთ დამატებითი სასურსათო რესურსების გამოყენების უდიდესი შესაძლებლობანი ქალაქის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პატრიოტული მოვალეობა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მნიშვნელოვნად აამაღლონ სოფლის მოსახლეობის მომსახურების კულტურა, გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა მოთხოვნებსა და საჭიროებას, დაუცხრომლად აუმჯობესონ სავაჭრო აპარატი, აღზარდონ კოოპერაციის კადრები ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისა და ნაკლოვანების შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაიცვან კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპები, გადაჭრით აღმოფხვრან თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, მუდამ განამტკიცონ თავიანთი კავშირი მშრომელებთან, უფრო ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა მეპაიეთა მასებს კოოპერაციის ცხოვრებაში, ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ მათი თვითმოქმედება და აქტივობა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ღირსეულად გაართმევს თავს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს, კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარება პარტიასა და მთავრობას ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებაში, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა

29 ივნისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი.

„ცენტროსოიუზის“ მიწვევით ყრილობას ესწრებიან უცხოეთის 15 ქვეყნის ეროვნული კოოპერაციული ორგანიზაციების დელეგაციები.

შეკრებილნი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობისადმი.

ყრილობის დღის წესრიგშია — „ცენტროსოიუზის“ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები, ბალანსის დამტკიცება და სარევიზიო კომისიის დასკვნა, „ცენტროსოიუზის“ საბჭოს, გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევნები.

„ცენტროსოიუზის“ გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ს. ხოხლოვმა. (საკდესი).

„კუიბიშევჰიდრომშენის“ მეოთხე წლისთავის შესახვედრად

დაბა კომსომოლსკი (კუიბიშევის ოლქი). (საკდესი). აგვისტოში ოთხი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. მშენებლებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ამ თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. დამთავრდა მეორე ქვისსამტვრევი ქარხნის გამოცდა, რომელიც მდებარეობს მთებში მდინარე სოკოთან, ქალაქ კუიბიშევის ახლოს. გუშინ საწარმომ პირველად გამოუშვა ასობით კუბური მეტრი სამრეწველო ღორღი. ახალი ქარხნის პროდუქცია მოხმარდება ვოლგის მარცხენა ნაპირზე რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალის აგებას.

ჰიდროელექტროსადგურის შენობაში ბეტონის ჩასხმაზე თავი ისახელა უბანმა, სადაც მთავარი ინჟინერია ეიდოვი. ამ უბნის ბეტონჩასხმელებმა ქვაბულში პირველებმა ითვისეს ბეტონტუმბოები და გამოიყენეს ბეტონის ვიბრაციუმრეკი. ბეტონის ჩასხმის თვითღირებულების შემცირების, მუშახელის სწორი განაწილებისა და საშენი მასალის მომჭირნეობით ხარჯვის გზით უბანმა წელს დაზოგა ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

დიდი წარმადობის ახალი ჩარხეგი

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი წელს საწარმოო ფართობის გაუდიდებლად და არსებული მოწყობილობით შარშანდელთან შედარებით 15,9 პროცენტით ადიდებს ჩარხების გამოშვებას.

საამქროებში შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდებისათვის ფართოდ ნერგავენ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ახდენენ საწარმოო პროცესთა რაციონალიზაციას. სახარატო ჩარხის ფოლადის დეტალების ნახევარზე მეტს ახლა თავისუფალი ჭედვის ნაცვლად დატვიფრვით ამზადებენ. მექანიკურ საამქროში დანერგეს ლითონის გრიგალისებრი ჭრის მეთოდი, რომელიც ერთი-სამად ადიდებს საკალი ხრახნების — მნიშვნელოვანი საჩარხე დეტალების, გამოშვებაზე მომუშავეთა შრომის პროდუქტიულობას.

კბილანების უბანი უკანასკნელ ხანებამდე წარმოების ვიწრო ადგილად ითვლებოდა. ამ უბანზე მოწყობილობის რაციონალური განლაგების გზით შექმნეს კბილანების დასამუშავებელი ჩარხების ნაკადური ხაზი. მექანიკურ საამქროში ლითონის ჩქაროსნული ჭრაზე გადაიყვანეს სახარატო მრავალსაჭრისიანი ავტომატები, ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება ამ საამქროში 5 პროცენტით გადიდდა.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელების შემდეგ ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს ყოველთვიურ გეგმებს. მაისში პროდუქციის გამოშვების დავალება ქარხანამ 105,4 პროცენტით გაანდა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდა 4,1 პროცენტით, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ჩარხი დაამზადა.

ამას წინათ ამწყობ საამქროში დაამთავრეს 50-ტონიანი მილჩამოსაკრელი ავტომატური ჩარხის აწყობა ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნისათვის. ეს ყველაზე დიდი აგრეგატი იმ აგრეგატებს შორის, რომლებიც აქ ოდესმე გაუკეთებიათ. იგი განკუთვნილია 820 მილიმეტრამდე დიამეტრისა და 12 მეტრამდე სიგრძის შედუღებული სამაგისტრალე მილების ბოლოების ჩამოსაჭრელად.

ამ აგრეგატზე შესაძლებელია დიდდიამეტრიანი მილის ნაწიბურების ერთდროული ორმხრივი დამუშავება, რაც ცალმხრივ დამუშავებასთან შედარებით ერთთიორად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ავტომატს აქვს თოთხმეტი ელექტრომოტორი. ეს შესაძლებელს ხდის უველა ოპერაცია მექანიზმით დამუშავდეს. თბილისელი ჩარხმშენებლები ჩელიაბინსკის მილმგლინავებისათვის კიდევ ორ ასეთ გიგანტურ ჩარხს ამზადებენ.

კიროველი ჩარხმშენებლები გამოსაშვებად ამზადებენ აგრეთვე მძიმე სქელკედლიანი მილების ნაწიბურებისა და ბოლოების დასამუშავებელ სპეციალურ ჩარხებს, რომლებზეც ავტომატურად მოხდება ჩქაროსნული შედუღება და ღარვა.

საამქროებში მიმდინარეობს მცირეგაბარიტიანი ავტომატების აწყობა. მათი წონა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ ჩარხებისა, რომლებსაც ახლა აკეთებენ.

სრულყოფილი ლითონდასამუშავებელი ჩარხების შექმნასა, ათვისებასა და გამოშვების გადიდებაში დიდი წვლილი შეაქვთ ქარხნის რაციონალიზატორებს. ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორებმა წელს წარადგინეს სულ 139 რაციონალიზატორული წინადადება. უკვე განხორციელებულ 27 წინადადებას შორის საყურადღებოა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ოსტატის ლ. ლიხიცინის წინადადება, რომელიც წელიწადში 11 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს წარმოებას. ინჟინერ გ. აბრამოვის წინადადებით მილსაჭერი ჩარხების ცალკეულ კვანძებში შეტანილმა ცვლილებებმა 7 საათით შეამცირა თვითეული კვანძის დამზადების დრო. 12 ათას მანეთს უზოგავს ქარხანას ინჟინერ გ. გორბატენკოს წინადადება — ერთ-ერთი დეტალის დატვიფრვით დამუშავება, რაც წინათ თავისუფალი ჭედვით ხდებოდა.

წარმოების მთელი კოლექტივი თავდადებით იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალი პროდუქცია მილჩამოსაკრელი აგრეგატი, რომელიც დამზადებულია ჩელიაბინსკში გასაგზავნად. **სურათზე:** აგრეგატის ცალკე კვანძების აწყობა და გასაგზავნად გამზადება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საყოველთაო სახალხო საქმე

სილნაღი. („კომუნისტის“ კორ.). ახალი შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში სილნაღის რაიონის წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ბატონის მაწოდებას სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი არსენალი. 2 ასეული ბელორუსული ტრაქტორები, 3 ასეული ბელორუსული კომბაინი შეუჯიბრების გაჩაღებით.

აგიტატორები მართავენ საუბრებს, მიძღვნილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებისადმი. შესვენების დროს მტს-ის დირექტორმა ამხ. ვ. ჯავაშვილმა შეკრებილთ გააცნო პლენუმის დადგენილება. მან თქვა: — სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა. მტს-ის მუშაკთა სახელით პირობას ვიძლევი, რომ 20 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ 5.600 ჰექტარზე.

კომბაინერმა ვ. ინაშვილმა განაცხადა:

კომუნისტური პარტია უველაფერს აკეთებს სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების შემდგომი ზრდისათვის, მექანიზატორთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პასუხად ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულებას ვკისრულობ სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 17 სამუშაო დღეში პურეული მოვმკა 400 ჰექტარზე, გავლეწო 6.000 ცენტნერი და დავზოგო 5 პროცენტი საწვავი.

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, — თქვა ახალგაზრდა კომბაინერმა რ. ბიძინაშვილმა, — ახარებს ჩვენს გულს. დადგენილება იმის განსახიერებაა, თუ როგორ დაუღალავად ზრუნავს პარტია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. პირობას ვიძლევი შეუფერხებლად ვამუშაო „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი და ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 20 სამუშაო დღეში პურეული ავიღო 400 ჰექტარზე და გავლეწო 6 ათასი ცენტნერი.

დადგენილებას გულდასმით გაეცნენ და ერთსულოვნად მოიწონეს კომბაინერებმა ი. მირიანაშვილმა, ს. ნარინდოშვილმა, მ. კატაშვილმა, ნ. ალადაშვილმა, გ. ყაჯრიშვილმა.

პურეულს ავიღებთ სწრაფად და უდანაკარგოდ

ქარელი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში წელს გეგმით თავთავიანი მარცვლეული კულტურები ასაღებია 14.380 ჰექტარზე. აქედან მარტო აგარის მტს-მა უნდა აიღოს 5.600 ჰექტარი. ამ დავალების წარმატებით განაღდებისათვის გაჩაღებულია მოსავლის აღებისათვის მზადება. აგარის მტს-მა კარგა ხანია დაამთავრა კომბაინების, მისაბმელი იარაღებისა და სალეწი მანქანების შეკეთება. წელს აქ მოსავლის აღებაზე იმუშავებს 21 კომბაინი.

აგარელი მექანიზატორები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას „საგაზაფხულო თესვის შედეგების, ნათესების მოვლის, მოსავლის აღებისათვის მზადებისა და 1954 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“.

დადგენილების გაცნობისას მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ბარბაქაძემ განაცხადა: — მექანიზატორთა მუშაობაში მოსავლის აღება უმნიშვნელოვანესი საქმეა. ჩვენ უველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ კომბაინერთა შორის ფართოდ დავნერგოთ საათობრივი გრაფიკით მუშაობა, მოსავალი დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ 6.000 ჰექტარზე.

ამ მტს-ის გამოჩენილმა კომბაინერმა გიორგი ნოზაძემ ვალდებულება აიღო კომბაინ „სტალინეც-6“-ით 25 სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში 550 ჰექტარზე ნაცვლად 280 ჰექტარისა, ყოველ ჰექტარზე გალეწოს 13 ცენტნერი პური და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რუსის მტს-ის ცნობილი კომბაინერი იოსებ ტიტვინიძე. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს კომბაინერებმა ალექსი და ვალერიან ტიტვინიძეებმა, ოთარ კავთელაშვილმა და სხვებმა.

მზის დაბნელება

საბჭოთა ასტრონომები ამთავრებენ მზადებას დაკვირვების მოსახდენად მზის სრულ დაბნელებაზე, რაც დღეს მოხდება.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე სრული დაბნელება დაიწყება 15 საათსა და 54 წუთზე ლიტვის სსრ კლაიპედის რაიონში და დამთავრდება 16 საათსა და 47 წუთზე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, რის შემდეგ მთვარის ჩრდილი მოშორდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს და წავა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. კლაიპედის, კაუნასის, ბარანოვიჩის, ჩერნიგოვის, კიევის, პოლტავის, დნეპროპეტროვსკის, ტაგანროგის, სტავროპოლის, არმავირის, კისლოვოდსკის, ნალჩიკის, გროზნოსა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი ნახავენ საოცარ სანახაობას — მზის გვირგვინს, რომელიც გარშემორტყმული ექნება მზის დაბნელებულ დისკოს, დღისით დაბნელებულ ცაზე ანთებულ ვარსკვლავებსა და დაფიონის კაშკაშა რკალს მთელი ჰორიზონტის ირგვლივ.

სრული დაბნელების ყველაზე დიდი ხანგრძლივობა სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეადგენს 146,7 წამს.

ამ უკანასკნელ წლებში ასტრონომებს აქვთ გამოკვლევის ახალი მძლავრი იარაღი — რადიოტელესკოპი, რომლის საშუალებითაც სწავლობენ ცის მნათობთა რადიოგამოსხივებას. დაბნელების დროს შეიძლება გაიზომოს მზის გვირგვინისა და მზის ატმოსფეროს ცალკეული უბნების რადიოგამოსხივება. ეს შესაძლებელს გახდის დაკვირვებას ღრუბლიან ამინდშიც. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

როცა კომუნისტები მუშაობის ავანგარდში არ არიან

ენისელის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას დიდძალი ნოყიერი სახნავ-სათესი მიწები აქვს. მიუხედავად ამისა წლების მანძილზე ყვარლის რაიონში ენისელთა ჩამორჩენაზე ლაპარაკობდნენ. აქ მოსავალი ვერ მოჰყავდათ, შრომადღეებზე არაფერი ნაწილდებოდა.

გასულ წელს ჩამორჩენის დასაძლევად ენისელში მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდა. კოლმეურნეობის გამგეობამ და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. ამის შედეგად მოსავლიანობა გადიდდა, შრომადღის ხვედრი გაიზარდა. ენისელები წელს უკეთესად მუშაობენ, მაგრამ მეზობელ კოლმეურნეობებს მაინც ჩამორჩებიან. ჩამორჩებიან იმიტომ, რომ ისე არ მოქმედებენ, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებში.

3 მაისს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის დახურული კრება გაიმართა. დღის წესრიგში იდგა საკითხი „კომუნისტების ავანგარდული როლის შესახებ“. სხვა ნაკლოვანებებთან ერთად აღინიშნა, რომ კომუნისტების ერთი ნაწილი თავიანთი ოჯახის წევრებით საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობდა, ამის გამო კომუნისტებს უსაყვედურეს. მიიღეს ვრცელი დადგენილება, მაგრამ პარტბიუტომ (მდივანი ე. ლომაშვილი) არ იზრუნა დადგენილების განხორციელებისათვის, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ კომუნისტების ერთი ნაწილი დღესაც მოდუნებულად მუშაობს.

მივყვეთ ფაქტებს: პარტიის წევრობის კანდიდატს გ. ადომლიშვილს მიმდინარე წლის 20 ივნისამდე 26 შრომადღეზე მეტი არ გამოუმუშავებია, მის ცოლს კი შრომის წიგნაკში მხოლოდ ორი შრომადღე უწერია. მათმა შვილმა ედიშერმა ცხოვრების იოლი გზა აირჩია, „მოსკვიჩი“ შეიძინა და „ხალტურაზე“ დანავარდობს. ადომლიშვილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ბზოტიძეს მიმართა:

— ჩემი ვენახი შარაგზასთან არის, მრცხვენია, ყოველდღე იქ რომ ვმუშაობ, ხალხი მხედავს. გთხოვთ ვენახი მომცეთ ისეთ ადგილას, სადაც კოლმეურნეები არ შემხედავენო (!).

პარტიის წევრი ა. შევერდოშვილი საკვებმოპოვების ბრიგადაში გადაიყვანეს. შევერდოშვილმა იქ მუშაობა „იუკადრისა“ და საკოლმეურნეო შრომას თავი მიანება.

კომუნისტები კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე რ. ხახუტაშვილი და ბრიგადირი დ. დავითოშვილი თავიანთ ოჯახის წევრებს არ ამუშავებენ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ საკოლმეურნეო შრომისადმი უარყოფითი გავლენა მოახდინა შრომის დისციპლინაზე. მიმდინარე წლის პირველ პერიოდში ასოცმა კოლმეურნემ არ გამოიმუშავა შრომა-დღეების დაწესებული მინიმუმი, ხოლო მეორე პერიოდში — ოთხმოცმა კოლმეურნემ, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სამარცხვინო ჩამორჩენა. კოლმეურნეობაში დანაშაულებრივად გაჭიანურდა სიმინდის პირველი თოხნა. 180 ჰექტარიდან ნახევარზე მეტი 15-20 დღის დაგვიანებით გათოხნეს. დაგვიანებით დაიწყეს სიმინდის მეორე თოხნაც. საზამთროს ნათესები ცუდად არის დამუშავებული.

კოლმეურნეობამ წელს ცუდად გამოაზამთრა პირუტყვი. იმის გამო, რომ საკმარისი და მაღალხარისხოვანი საკვები არ ჰქონდათ, 24 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 181 სული ღორი დაიხოცა. ამ მწარე გაკვეთილიდან ენისელებს დღემდე არ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები. საკვებმოპოვების ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ზ. ბეჟანიშვილი ხელმძღვანელობს, ცუდად მუშაობს. ჯერ არც საკვების დასილოსება დაუწყიათ, თუმცა წელს დამატებით 50 ტონის ტევადობის სასილოსე ორმო უნდა გააკეთონ. საეჭვოა, რომ კოლმეურნეობას სასილოსე ორმო დასჭირდეს, რადგან სასილოსედ დათესილი სიმინდის მოვლაზე არავინ ფიქრობს.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე მევენახეობაში, ბრიგადებში კომუნისტები სრულებით არ არიან განაწილებული. მეცხრე ბრიგადამ 26 ჰექტარი ვენახი წელს მხოლოდ ერთხელ მოხნა, ვენახები ბალახმა დაფარა. ახლა ისღა მოიფიქრეს, რომ ბალახი გათიბონ (!). ამ ბრიგადამ წელს სამი ჰექტარი ახალი ვენახი გააშენა, მაგრამ მისი დამუშავებით თავს არ იწუხებენ და ნამყენი ვაზი ნადგურდება.

ყველა ამ მრომრჩენის გამოსწორებას პარტბიუტომ მხოლოდ დადგენილების მიღებით ფიქრობს, შემდეგ კი არ ზრუნავს ამ დადგენილებათა განხორციელებისათვის. პარტორგანიზაციაში პოლიტიკური აგიტაცია ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. აგიტატორები რ. პავლიაშვილი, ნ. სეფაშვილი, ს. მინდიაშვილი, ვ. ქიქაშვილი, მ. ცაცაშვილი, ე. თევდორაშვილი, ვ. ხოსროშვილი და სხვები საუბრებს იშვიათად აწყობენ. მათი საუბრები მოწყვეტილია პრაქტიკულ საქმიანობას. პარტიული ბიურო ნაკლებად იბრძვის აგიტაციის ქმედითობისათვის.

პარტიის ყვარლის რაიკომის მუშაკები, განსაკუთრებით რაიკომის მდივანი ენისლის მტს-ის ზონაში ამხ. ს. ამირანაშვილი, ხშირად არიან ენისელში. ვერ ვიტყვით, რომ ისინი დახმარებას არ უწევდნენ კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ორგანიზაციას, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ენისელში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება უნდა დაჩქარდეს.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



კაჭრეთის რაიონის სოფელ ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პურეულის ყანების ნაპირებზე მოაწყეს ბალახის შემოთიბვა. სურათზე: ტრაქტორისტი პ. ბარაშვილი ყანის ნაპირების შემოთიბვაზე მუშაობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილება

სასიხარულო და საამაყოა მუშაობდე კომბაინერად. ამ რთულ მანქანას ისე შევეზარდეთ, შევეჩვიეთ, რომ ყოველთვის ვუგებთ „საიდუმლოებას“ და შეუფერებელი მუშაობით ყოველწლიურად წარმატებებსაც ვაღწევთ.

ჩვენ განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდით ამ დღეებში, როცა პურეული უკვე შემოვიდა. კომბაინები აუგებენ ვრცელ საკოლმეურნეო მინდვრებზე. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის.

შეგნებული გვაქვს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც კომბაინერებს აკისრიათ. ჩაბმული ვართ კომბაინერთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი:

ალექსანდრე შიხაშვილმა გეგმის მიხედვით კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ 12 დღეში მომკას 200 ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 22 ცენტნერი ხორბალი;

ვლადიმერ მანაგაძემ ამავე კოლმეურნეობაში 210 ჰექტარზე მოსავალი აიღოს ათ სამუშაო დღეში, თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 18-20 ცენტნერი ხორბალი;

სერგო ჭაბაშვილმა ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში 12 დღეში მომკას 200 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 18-19 ცენტნერი ხორბალი;

გრიგოლ ვასილიევმა, რომელიც თვითმავალ კომბაინზე მუშაობს, სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში რვა დღეში მომკას 100 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 20 ცენტნერი ხორბალი;

ფირუზ რიჟამაძემ სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ათ დღეში დაამთავროს მოსავლის აღება 180 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 22 ცენტნერი ხორბალი.

ჩვენით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ერთსულოვნად გამოვთქვამთ სურვილს ჩვენი მომსახურების კოლმეურნეობებში მოსავლის აღების დამთავრებისთანავე დახმარება გავუწიოთ მოსავლის აღებაში მეზობელ კოლმეურნეობებსა და რაიონებს. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინებს შეუფერხებლად ვამუშავებთ და სეზონში თვითეული მოვმკით 400-600 ჰექტარ პურეულს.

ყოველმხრივ მზად ვართ ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

ალექსანდრე შიხაშვილი, ვლადიმერ მანაგაძე, სერგო ჭაბაშვილი, გრიგოლ ვასილიევი, ფირუზ რიჟამაძე

— ლაგოდეხის მტს-ის მოწინავე კომბაინერები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დავამყაროთ მჯიღი სანიმაარული წესრიგი“

ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა დადასტურებულად ცნო ფაქტები, რომლებიც მოყვანილი იყო „კომუნისტის“ 15 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილში „დავამყაროთ მტკიცე სანიტარული წესრიგი“. წერილი ეხებოდა ანტისანიტარულ მდგომარეობას ქ. ახალციხის ქუჩებში.

ახალციხის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დასახეს ღონისძიებანი ქალაქის განაპირა უბნებში სანიტარული წესრიგის დასამყარებლად. მოეწყო დასუფთავების ერთობიური, ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში დაიდგა 100 ცალი ახალი ურნა და 60 ცალი სანაგვე უთო, წარმოებს ქუჩების სისტემატური დასუფთავება.

28 აპრილს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სესიამ სპეციალურად განიხილა საკითხი „რაიონის დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის შესახებ“. სესიამ მიიღო დადგენილება რაიონის დასახლებულ პუნქტებში მტკიცე სანიტარული წესრიგის დამყარების უზრუნველსაყოფად.

საჭიროა მეტი ორგანიზებულობა ჩაის კრეფაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა მახარაძის რაიონმა გადაჭარბებით — 122 პროცენტით შეასრულა. ამ წარმატებამ ზოგიერთ მუშაკს თავბრუ დაახვია, რის გამო ივნისში კრეფის ტემპი შენელდა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ფოთოლს სისტემატურად არ კრეფენ. ეს დაბლა წევს რაიონის საერთო მაჩვენებელს. 26 ივნისისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ივნისის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 59,5 პროცენტით.

ყველა კოლმეურნეობა რომ დროულად კრეფდეს ფოთოლს, მაშინ რაიონს გაკილებით უფრო მაღალი მაჩვენებლები ექნებოდა. იბადება კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ჩაის ფოთლის დამზადების ტემპი გადაჭრით გაძლიერდეს? დიახ, არის. ამას მოწმობს გამოცდილება მოწინავე კოლმეურნეობების, ბრიგადების, რგოლებისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული ნოვატორებისა, რომლებმაც მაისის გეგმის შესრულებასთან ერთად კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ივნისშიც.

მაგრამ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას ზოგან ნაკლები უურადღება ექცევა. ვხვდებით ფოთლის გაუხეშებას. მაგალითად, ქვედა ბახვის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ჩაის კრეფას. აქ მაისში სახელმწიფოს 10,8 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი დააკლეს. ივნისშიც დიდი გარღვევა აქვთ კრეფაში. რატომ ჩამორჩა ეს კოლმეურნეობა? იმიტომ, რომ მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა, ზოგიერთი კოლმეურნე უმიზეზოდ აცდენს სამუშაოს. ესენი არიან ნათელა დოლიძე, სონია ინწკირველი, ლიდა დოლიძე, თინა ბაჯელიძე, სონია ნიკოლაიშვილი, ელენე შავიშვილი. შემოწმების დღეს ჩაის კრეფის ამ გაცხარებულ დროს ვნახეთ, რომ თამარ სალუქვაძის რგოლში ოთხმა მეჩაიემ უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო.

აღმაშფოთებელია ისიც, რომ ეგრეთწოდებულ „ნაფიჩხვარზე“ გაშენებული 18 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მოუვლელია, დაფარულია სარეველა ბალახებით, რის გამო ბუჩქები დასუსტებულა. ბარდ-ეკლით დაფარულია ის ნაკვეთებიც, რომლებიც მოსავლელად მიჩენილი აქვთ კოლმეურნეებს ეთერ ნიკოლაიშვილს, ლიდა ტუღუშს, მარიამ გაფრინდაშვილს, გოგუცა ბაჯელიძეს; ლუბა ბოლქვაძეს, მაშო ბერიძეს. სეზონის დაწყებიდან დღემდე შრომისუნარიანმა მკრეფავებმა გააცდინეს 2.516 კაცდღე, აქედან მარტო ვიქტორ ბაჯელიძის ბრიგადის წევრებმა — 744 კაცდღე.

ჩაის ბუჩქებს პირუტყვი ანადგურებს, მაგრამ პლანტაციების დასაცავად ზომებს არ იღებენ.

გეგმის შესრულებაში სამარცხვინო ჩამორჩენის შესახებ ერთხელაც არ უმსჯელია კოლმეურნეთა საერთო კრებას, გამეორებულ [illegible] ორჯ[illegible] ფის წლიური და მაისის გეგმის განაწილების საკითხი და ამით დაკმაყოფილდნენ. ეს იმას მოწმობს, რომ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. ერქომაიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. შავიშვილი) არაოპერატიულად, ზოგადად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, პლანტაციების მოუვლელობა თავიდან იქნებოდა აცილებული, პარტიის მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში ამხ. შ. ვასაძე უფრო მონდომებით რომ მუშაობდეს და კარგად იცნობდეს კოლმეურნეობის ეკონომიკას.

ჩაის კრეფის საგეგმო დავალების შესრულებაში უდარდელობას იჩენენ ბოხვაურის კოლმეურნეობაში. განა სამარცხვინო არ არის ბოხვაურლებისათვის, რომ ცხრამეტ დღეში მხოლოდ 29 ტონამდე ფოთოლი მოკრიფეს? სუსტია კომუნისტების ავანგარდული როლი (პარტბიუტოს მდივანი ვ. მუჯირი). სამწუხაროდ, ვერ ნახავთ ისეთ კომუნისტ კოლმეურნეს, რომელსაც 600 კილოგრამზე მეტი ჩაი ჰქონდეს მოკრეფილი მთელ სეზონში. აქ კრეფის დონე შარმნდელსაც ჩამორჩება. კოლმეურნეობამ დავალება რომ შეასრულოს, დღეში უნდა იკრიფებოდეს 3.700 კილოგრამი, ფაქტიურად კრეფენ 744 კილოგრამს.

მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ვაშალომიძემ ამას წინათ რიხით განაცხადა: — შევასრულებ ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის დავალებას მაისის დანაკლისის ჩათვლითო. ეს დაპირება დაპირებად რჩება, სახელმწიფო გეგმის შესრულება კი საფრთხეშია.

ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს არაოპერატიულად ეხმარება მანქანა-ტრაქტორთა სადგური. არის შემთხვევები, რომ მტს-ის აგრონომები კოლმეურნეობაში არ იმყოფებიან. ზოგი მათგანი ქალაქ მახარაძეში ცხოვრობს და რამდენიმე კილომეტრის გავლა უხდება კოლმეურნეობებში მისასვლელად. ასე მეორდება ყოველდღე, რადგან მტს-ის ბევრ მუშაკს სოფლად არა აქვს საცხოვრებელი ბინა. კონჭკათის კოლმეურნეობაში რამდენიმე ხანია მტს-ს აგრონომი არა ჰყავს.

ფოთოლი არის. მისი ზრდა-განვითარება კარგია. ჩაის კრეფა მოითხოვს მეტ ორგანიზებულობას, ყველა საშუალებისა და რეზერვის მთლიანად გამოყენებას, განსაკუთრებით ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და მტს-ის მხრივ მეტ კონკრეტულ დახმარებას. ეს კი მთავარი პირობაა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ბ. ჩხაიძე,
ო. საჯაია,
ფ. ცქვიტინიძე.

მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას!

კაჭრეთელ კოლმეურნეთა შრომითი საქმეები

ზაფხული ძალაში შევიდა. თვალწარმტაც სანანობას წარმოადგენს „მწვანე მინდვრის“ თვალუწვდენი ველი. მრავალფრად მოხატულ ხალიჩასავით გამოიყურება იგი. დიდ მასივებზე ზღვასავით ღელავენ გადაყვითლებული პურეულის ყანები, საამოდ შრიალებს კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი ტანაყრილი სიმინდი და მზესუმზირა.

კოლმეურნე გლეხობა მასობრივად არის გასული მინდვრად. შორიდანაც ადვილად შეამჩნევთ გზისა და პურეულის ყანების ნაპირებზე ჯგუფ-ჯგუფად მომუშავე ადამიანებს, სხვადასხვა მიმართულებით მოძრავ ტრაქტორებს. უნებლიეთ დაინტერესდებით გაიგოთ — რა სამუშაოს ასრულებენ ისინი გზისა და ყანის ნაპირებზე. ამაში ადგილობრივი ამხანაგები გეხმარებიან:

— აბა კარგად დაკვირდით, აგერ, ხრამგამოღმა ნაკვეთებზე ოქროსფრად მობიბინე პურეულის ყანების გაყოლებით ვერაფერს ამჩნევთ?

აკვირდებით მითითებულ ფართობს და ხედავთ, რომ ჰორიზონტზე მოჩანს თივის ზვინები. ისინი ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან. თუ თვალს ახლა „ნასოფლარის“ ნაკვეთებისაკენ გააყოლებთ, იქაც ასეთსავე სურათს დაინახავთ. ერთი სიტყვით, თივის ზვინები ქარსაცავი ტყის ზოლივით შემოჰკვრია პურეულის ყანებს. ეს კი თქვენს გაკვირვებას იწვევს, რადგან ახლომახლო სათიბი მასივები არსად არ მოჩანს.

მაშ საიდან გაჩნდნენ ისინი?

კოლმეურნეებთან მოკლე საუბრის შემდეგ ყველაფერი ნათელი ხდება. შარშან კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვერ შეძლეს პირუტყვი უზრუნველეყოთ ზამთრის პერიოდისათვის საჭირო საკვებით. ამან კი გამოიწვია პირუტყვის ცუდი გამოზამთრება, მისი ნაწილობრივ დაცემა და პროდუქტიულობის გადიდების გეგმის შეუსრულებლობა. ეს იყო მწარე გაკვეთილი კაჭრეთელებისათვის, და მათ აქედან საჭირო დასკვნები გააკეთეს.

— რადაც უნდა დაგვიჯდეს, წელს იმდენი თივა და სილოსი უნდა დავამზადოთ, რომ მომავალი წლისათვისაც დაგვრჩესო, — მტკიცედ გადაწყვიტეს კოლმეურნეებმა.

ნამჯის გარდა ექვსი ათასი ტონა თივა და ამდენივე ტონა სილოსი თავსაყრელად ეყოფა არა მარტო საზოგადოებრივ პირუტყვს, არამედ კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფ პირუტყვსაც. გეგმაც ასეთი მიიღეს. აღნიშნული რაოდენობის თივის დასამზადებლად საჭირო იყო 1.700 ჰექტარი სათიბი ფართობი. როდესაც ყველა შესაძლებლობა გაანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ თივის ასაღებად რაიონის ტერიტორიაზე მისი მესამედი ფართობიც არ იყო. ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით რაიონის კოლმეურნეობებს შორაქში გამოეყო ათას ჰექტარამდე სათიბი. იქ სასწრაფოდ გაიგზავნა სათიბი მანქანები და ხელით მთიბავთა ბრიგადები ორასამდე კოლმეურნის შემადგენლობით. მაგრამ არც ეს შველოდა საქმეს. გეგმა მაინც ვერ შესრულდებოდა.

ერთ-ერთი საუბრის დროს კაჭრეთის მტს-ის მთავარმა აგრონომმა ამხ. ა. ივანიაძემ ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა.

— ამ დღეებში შემოვიარე ჩვენი მტს-ის ზონის საკოლმეურნეო მინდვრები, — ამბობდა ის. — გზებისა და ყანების ნაპირებზე, აგრეთვე ღელეებსა და ნათესების ჭრილებში ისეთი ბალახი ბიბინებს, რომ ყორეული გეგონებათ. აი ამ ადგილებში რომ მოვაწყობდეთ თიბვას, ჩემი აზრით, ასობით ტონა ბალახს მივიღებდით.

აგრონომის გონივრული წინადადება მიღებულ იქნა. ამ დიდი საქმის შესრულებისათვის დაირაზმნენ საკვებმომპოვებელი ბრიგადები და მექანიზატორები. კოლმეურნეობებმა გამოყვეს ხელით მთიბავები და დამბულულებები. ივნისის პირველი რიცხვებიდან შეუდგნენ შერჩევით თიბვას. კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების 28 სათიბი აგრეგატი გავიდა ნოყიერი ბალახის სათიბად. ყანის ნაპირებზე და გზების გაყოლებით ამის შედეგად გაჩნდა თივის ზვინები.

სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას პურეულის ვრცელი ფართობები აქვს ეგრეთწოდებულ „ნასოფლარის“ მიდამოებში. 27 ივნისს ამ ნაკვეთს პირველად ესტუმრნენ კომბაინები, რომლებმაც ქერის აღება დაიწყეს. რარიგ გაეხარდათ კომბაინერებს ვანო ჯაფოშვილს და სულიკო ბადრიაშვილს, როდესაც ყანის ნაპირები შემოთიბული დაინახეს!

— დიდი მადლობელი ვართ, ამხანაგო შალვა, — მიმართა ჯაფოშვილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შავლიაშვილს, — რომ სამკელი ფართობი მომზადებული დაგვახვედრეთ. ყანის ჭრილებშიაც არ დაგიტოვებიათ ბალახი. მაშასადამე, ჩვენი კომბაინებიც შეუფერხებლად იმუშავებენ.

ჩქარობენ კაჭრეთელი კოლმეურნეები თივის აღებასა და სილოსის ჩადებას. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა ეს სამუშაო დაამთავრონ პურეულის მკის გაჩაღებამდე, რათა შემდეგ მთელი თავიანთი ძალები მიმართონ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისაკენ.

25 ივნისისათვის რაიონს თივის აღების გეგმა უკვე შესრულებული ჰქონდა 79,4 პროცენტით.

თიბვაში დაწინაურებულია ჯიმითის კოლმეურნეობა. მას გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარის ნაცვლად 25 ივნისისათვის გათიბული ჰქონდა 300 ჰექტარი. ასევე მოწინავეთა რიგებში არიან ბოგდანოვკის, ნანიანის, ჩალაუბნის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან თიბვაზე მომუშავე კაჭრეთელი მექანიზატორები. მაგალითად, კაჭრეთის მტს-ის მე-11 ბრიგადას (ბრიგადირი ი. გეთიაშვილი) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარისა 25 ივნისისათვის ბალახი გათიბული ჰქონდა 400 ჰექტარზე. ამავე ბრიგადის ტრაქტორისტმა აბრა ჯაფოშვილმა

თიბვის გეგმა 400 პროცენტით შეასრულა. მოწინავეთა რიგებშია ვ. ბაწილაშვილის მე-8 სატრაქტორო ბრიგადა და ამ ბრიგადის ტრაქტორისტი გ. ჯიქურაშვილი. მათ მიერ დავალების შესრულება 200-250 პროცენტს აღემატება. საერთოდ კი კაჭრეთის მტს-ს (დირექტორი ს. მანთაშვილი) თივის აღების დავალება გადაჭარბებით აქვს შესრულებული. მას გეგმით გათვალისწინებული 800 ჰექტარის ნაცვლად 25 ივნისისათვის ბალახი გათიბული ჰქონდა 824,5 ჰექტარზე.

თუ კაჭრეთელი მექანიზატორები ამაყად მიაფრიალებენ თივის აღების ფრონტზე მოპოვებული გამარჯვების დროშას, სამაგიეროდ მათ ამ საქმეში ჩამორჩებიან ბადიაურელი მექანიზატორები. ამ მტს-ს (დირექტორი ამხ. ვ. ზარდიაშვილი) 25 ივნისისათვის თივის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 58,3 პროცენტით. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბადიაურის მტს-ს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სათიბი მანქანები ჩამოართვა და სხვა რაიონში გაგზავნა. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ საგრძნობლად შეაფერხა მტს-ის მიერ თივის გეგმის შესრულება. თუმცა აქ მანქანების ნაწილი ახლა უკვე დაბრუნებულია, მაგრამ თივის საუკეთესო დრო ბადიაურელებმა მაინც ხელიდან გაუშვეს. ასეთ ვითარებაშიც მათ შეეძლოთ საქმის წინ წაწევა, მაქსიმალურად რომ გამოეყენებინათ კოლმეურნეთა ძალები ხელით თიბვისათვის.

ამჟამად კოლმეურნეობებში გაჩაღებულია სილოსის ჩადება. რაიონული გეგმით გათვალისწინებული წელს 6.000 ტონა სილოსის დამზადება. ფაქტიურად სასილოსე ორმოები და ტრანშეები მომზადებული აქვთ 6.200 ტონისათვის. კოლმეურნეობებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება თვითეულ საფურაეე ძროხაზე იქონიონ 5-6 ტონა სილოსი, ნაცვლად შარშანდელი 3 ტონისა. სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის და სოფელ ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში შეუფერხებლად მუშაობენ სილოსის საჭრელი აგრეგატები. სასილოსე მასად აქ იყენებენ გარეულ ბალახს, აგრეთვე სიმინდის ღეროს, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების ფოჩს.

რაიონში პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად დიდი ღონისძიებები ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში სერიოზული შეფერხებებიც არის. თუ ბევრმა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა თივის აღების გეგმა, ბევრიც სამარცხვინოდ ჩამორჩა. მაგრამ ამ ჩამორჩენაში მარტო კოლმეურნეობებს როდი მიუძღვით ბრალი! დღესაც რაიონში 20-25 სათიბი მანქანაა, რომლებსაც ვერ იყენებენ იმის გამო, რომ მათ არა აქვთ ტილანები, სათითეები და ცელები. ბევრ კოლმეურნეობას არა აქვს აგრეთვე ცხენის ფოცხები და სხვა ინვენტარი. აღნიშნულ სათადარიგო ნაწილებსა და იარაღებზე მოთხოვნა თავის დროზე გაგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ, როგორც ჩანს, თავი არავის შეუწუხებია, რომ დაეკმაყოფილებინათ კოლმეურნეობათა თხოვნა.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვენახა, თუ როგორ აკლიათ კაჭრეთელ მექანიზატორებს სატრაქტორო ფოცხები, თივის საწნეხები, სატრაქტორო შესაგროვებელი, თივის დასადგმელი და დასაზვინავი მოწყობილობა და სხვა იარაღ-მანქანები. ისინი რომ ჰქონოდა მტს-ს, მაშინ საქმე ბევრად უკეთესად იქნებოდა. როგორც აქ გადმოგვცეს, საქსოფლმომარაგების სამმართველოს (მმართველი ამხ. კვანტალიანი) წინაშე ამის შესახებ არაერთხელ დაუყენებია საკითხი, მაგრამ მისგან დღემდე არავითარი დახმარება არ მიუღიათ. საყურადღებოა ერთი მაგალითი: კაჭრეთის მტს-ს თივის მოფოცხვის და დაზვინვის დიდი დავალება აქვს მიცემული, ხოლო დღემდე არ გააჩნია არც მოსაფოცხი და არც დასაზვინავი მანქანა. საკითხავია: გეგმას რომ იძლევიან, ვარაუდობენ თუ არა მისი შესრულებისათვის საჭირო იარაღ-მანქანებით უზრუნველყოფას?

არც სილოსის საჭრელი მანქანებით უზრუნველყოფის მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა. კაჭრეთის მტს-ს თუ ხუთი ასეთი საჭრელი მანქანა აქვს, სამაგიეროდ ბადიაურისას მხოლოდ ერთი მანქანა მოვპოვება. ცხადია, მანქანების ასეთი მწვავე ნაკლებობა სილოსის ჩადების გაჭიანურებას გამოიწვევს. სამწუხარო ის არის, რომ ბევრ კოლმეურნეობას სასილოსე მასა უკვე მიტანილი აქვს სასილოსე ორმოებთან და ტრანშეებთან, მაგრამ სილოსსაჭრელი აგრეგატის-მოლოდინში ბალახი ზრდა კარგავს ხარისხს, სინოყიერეს. გასაგებია, რომ მისი სილოსად გამოყენება ასეთ მდგომარეობაში აღარ შეიძლება და გეგმაც თავის დროზე ვერ შესრულდება.

ახლა მთელი ყურადღება, საკოლმეურნეო სოფლისაკენ უნდა იყოს მიმართული. კოლმეურნეები, რომლებიც თავდადებულად იბრძვიან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. ამაში ადვილად ეროვნულებით კაჭრეთის რაიონის მაგალითიც. კოლმეურნეებმა წელს ყველა საბჭოთა-სამეურნეო კულტურის უხვ მოსავალი მოიყვანეს. დიდი ხანია კაჭრეთის მინდვრებში არ უნახავთ პურეულის, სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების ასეთი მოსავალი.

კაჭრეთელ კოლმეურნეთა შრომა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ, რომელიც გაზეთების 27 ივნისის ნომრებში გამოქვეყნდა. ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილების პასუხად მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი: შეჯიდროებულ ვადებში აიღონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, პირუტყვისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა და ვადაზე ადრე მოხადონ სახელმწიფო ვალდებულებანი.

მათი შრომითი ენთუზიაზმი იმის საწინდარია, რომ ნაკისრ ვალდებულებანი პირნათლად შეასრულებენ.

საკოლმეურნეო სოფელში ახალი ცხოვრებით აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მთელ ძალებს რაზმავენ კაჭრეთის რაიონის მშრომელები. კომუნისტური პარტიის ნაკადი ხელმძღვანელობით ისინი ახალ წარმატებებს იპოვებენ იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას უსახეს.

ა. კოკილაშვილი.

კაჭრეთი, ივნისი.

თეატრი

„კ ა მ ო“

ლევონ მ. ზანკოვეცკაიას სახელობის თეატრის გასტროლებმა თბილისში დიდი წარმატებით ჩაიარა. თეატრის სპექტაკლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და უსაზღვრო სიამოვნება განაცდევინა მაყურებელს. ჩვენ მოგვხიბლა და აღგვაფრთოვანა იმ შემოქმედებითმა გულწრფელობამ და რომანტიკულმა მჩქეფარებამ, რომლითაც აღბეჭდილი იყო სცენის ოსტატთა შთაგონებული თამაში, რეჟისორის, მხატვრისა და კომპოზიტორის შეხმატკბილებული ნამუშევარი.

დიდი შემოქმედებითი მღელვარებით იყო აღბეჭდილი სპექტაკლი „კამო“, რომლითაც თეატრმა თავისი გასტროლები დაამთავრა.

თბილისელი მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა ამ სპექტაკლს, და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. კამო (სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანი) საქართველოს ძველ ბოლშევიკთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის. პროფესიონალი ბოლშევიკი — რევოლუციონერი კამო უადრესად კოლორიტული, ლეგენდარული პიროვნება იყო. იგი ეკუთვნოდა შეუდრეკელ მებრძოლ რევოლუციონერთა რიცხვს. შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდანვე კამომ თავისი სიცოცხლე მუშათა კლასის განთავისუფლების ინტერესებს დაუკავშირა. ბორის სამრევლო სკოლიდან გამორიცხული „თავისუფალი მოაზროვნე და კადნერი“ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზრდა კამო თბილისში ჩამოდის. აქ იგი ეცნობა ლენინურ-ისკრული მემარცხენეთა არალეგალურ ორგანიზაციებს, ახლო უკავშირდება ი. ბ. სტალინს და მისი ხელმძღვანელობით მეკი გატაცებით ებმება რევოლუციურ მოძრაობაში.

კამო იყო არა მარტო კომუნისტური პარტიის საქმის მიმდევარი, მტკიცე ხასიათის შეუპოვარი მებრძოლი, არამედ დიდად გამჭრიახი და უალრესად მოხერხებული კონსპირატორიც. მას უნარი შესწევდა სწრაფად აეღო ალღო ყოველგვარი მოულოდნელობისათვის და მაშინვე გამოსავალი გამოენახა. კამომ არ იცოდა შიში, პანიკა, რა მძიმე მდგომარეობაშიც უნდა ჰაგარდნილიყო, სასოწარკვეთილებას არ მიეეკმოდა, მომავალს იმედით შეჰყურებდა და ფრთხილად, დაკვირვებით განაგრძობდა მუშაობას. ამ იშვიათი თვისებებით კამომ სწორაფად მოიხვეჭა სახელი, იგი პარტიის, ლენინისა და სტალინის უდიდესი ნდობით სარგებლობდა.

კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით კამო ავიცილებდა ლენინურ „ისკრას“, პროკლამაციებს, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას“ და სხვა პარტიულ გამოცემებს. კამოს ორგანიზატორულმა ნიჭმა და უნარმა განსაკუთრებით ფართოდ ინინა თავი პირველი რევოლუციის პერიოდში. იგი აყალიბებდა და სამხედრო საქმეს ასწავლიდა მუშათა საბრძოლო რაზმებს. დეკემბრის აჯანყების დღეებში მისი ხელმძღვანელობით ნაძალადევის მუშები შეუპოვრად იბრძოდნენ და ბრწყინვალე ფურცლებს წერდნენ რევოლუციის მატიანეში.

1906 წელს კამოს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა. იგი პეტერბურგს წავიდა და განიალურ ლენინს შეხვდა. ლენინის მითითებებით აღფრთოვანებული კამო ახალი ენერგიით განაგრძობს მუშაობას. იგი მიემგზავრება გერმანიაში, შვეიცარიაში, ბულგარეთში, ბელგიაში რუსეთის არალეგალური ორგანიზაციებისთვის იარაღის შესაძენად. თბილისში დაბრუნებული კამო იწყებს ხელყუმბარების დამზადებას.

1907 წელს ერევნის მოედანზე ბრწყინვალედ მოწყობილი ექსპროპრიაციის შემდეგ კამოს სახელი მთელ ევროპას მოედო. როცა თბილისიდან გაქცეული კამო ბერლინში შეიპყრეს, ევროპის ბურჟუაზიულმა პრესამ საშინელი განგაში ატეხა და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ გადაცემა რუსეთის მთავრობისათვის. პოლიტიკური ემიგრანტის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უპრეცედენტო იყო. ლენინის თხოვნით კარლ ლიბკნეხტმა კამოს გადასარჩენად ფართო კამპანია გააჩაღა. გერმანიის მუშები პროტესტს აცხადებდნენ, მოითხოვდნენ სახელოვანი რევოლუციონერი რუსეთის ჟandარმერიისათვის არ გადაეცათ, მაგრამ გერმანიის პოლიციურმა მთავრობამ მუშათა მოთხოვნილებას ანგარიში არ გაუწია. კამო თბილისში ჩამოიყვანეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

ამჯერად მას, აღრე არაერთხელ დაპატიმრებულს, აუცილებლად სიკვდილით დასჯა მოელოდა. ამის გამო კამომ სულიერი ავადმყოფობა მოიგონა და ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პოლიციისა და საექიმო ექსპერტების ყველა საშინელ შემოწმებას გაუძღო. პოლიციას მიანდო ეშინოდა. „სულიერად ავადმყოფს“ რკინის ორმაგი ბორკილები დაადეს და საგანგებო მეთვალყურეობა დაუწესეს. უმძიმესი პირობების მიუხედავად კამომ შეძლო ბორკილები დაეშსვრია და გამოპარულიყო.

კამოს ცხოვრების სწორედ ეს ეპიზოდი უდევს საფუძვლად ა. ლევადას პიესას, რომლის დადგმაც სსრ კავშირის სახალხო არტისტს ბ. რომანიცკის ეკუთვნის.

ის გარემოება, რომ პიესაში ასახული მოქმედება თბილისში ხდება, თეატრს რთული გამოცდის წინაშე აყენებდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა, მაყურებელი მას ბოლომდე მღელვარებით უყურებდა.

ფარდა იხდება და ჩვენ ვხედავთ მეტეხის ციხის ერთ-ერთ საკანში მარტოდ გამომწყვდეულ კამოს. კამომ იცის, რომ მას სიკვდილი მოელის. იგი სულიერად აფორიაქებულია, იტანჯება, წუხს, მაგრამ მისი სევდა და წუხილი იმ ადამიანის სევდასა და წუხილს კი არა ჰგავს, რომლისთვისაც პირადი სიცოცხლე ყველაფერზე მაღლა დგას, ყველაფერზე მეტია ადამიანისა და რევოლიუციის მზოლოდ თავის გადარჩენისათვის იბრძვის. არა. კამომ იცის თავისი ფასი რევოლუციისათვის, მან იცის, რომ ის და მისი მსგავსი რევოლიუციონერების სიცოცხლე აუცილებლად საჭიროა და უნდა შენარჩუნებულ იქნეს მუშათა კლასის, პარტიის ინტერესებისათვის. მგზნებარე რევოლუციონერი შექმნილ მძიმე ვითარებაში ერთი წუთითაც არ იბნევა, მდგომარეობას ფხიზელი გონებით ასწონ-დასწონის, გამოსავალს იპოვნის. იგი დაჯილდოებულია იმის უნარით, რომ გაიგოს ადამიანის, ლენინის მესმინ კეთილი საწყისები, ხელი ჩასჭიდოს ამ კეთილ საწყისებს და რევოლუციის სასარგებლოდ გამოიყენოს. სწორედ ეს უნარი გადაარჩენს კამოს ამ საშინელი პატიმრობის დროსაც. მხოლოდ სულიერი ავადმყოფობის მოგონება მას ვერ იხსნიდა, რომ თვით დარაჯ ჯარისკაცებსა და საავადმყოფოს ექიმებს შორის მხრის დამშვერნი არ აღმოსჩენოდა. კამო ცოხის პირობებშიც აბრიხებდა ადამიანებს ადეიური ზეგავლენა მოეხდინა და ისინი კეთილი საქმისათვის საბრძოლველად აღეგზნო.

პროფესიონალი რევოლუციონერი — ბოლშევიკის ამ მაღალ თვისებებს მშვენიერად გადმოგვცემს კამოს როლის შემსრულებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. რომანიცკი. მას როგორც სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორსა და მსახიობს ძალიან კარგად აქვს გაგებული და გააზრებული კამოს სცენიური სახე. მთლიანად სპექტაკლი ასე ძლიერად, რომ არის აღბეჭდილი რევოლუციური რომანტიზმის, ოპტიმიზმის სულისკვეთებით, ეს პირველ რიგში კამოს როლის ბრწყინვალე შესრულებით აიხსნება. რომანიცკის კამომ მოგვიხიბლა და დაგვიპყრო პირველი სურათიდანვე, როცა იგი მარტოდმარტოა და ვრცელ მონოლოგს წარმოთქვამს. ამ მონოლოგით იგი გვაშუადებს რთული ამბებისათვის და ზოლომდე ფსიქოლოგიურად დაძაბული ვყავართ. ჩვენ მოგვხიბლა ჯანსაღმა, დიადი იდეებით აღგზნებულმა რომანიცკის კამომ, მაგრამ მაინც ერთგვარი შიშით მოველოდით იმ მომენტს, როდესაც კამოს სულიერი ავადმყოფობა უნდა „მოეგონებინა. მსახიობი აქ მართლაც ხეფათის წინაშე იდგა, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდი ჰქონდა გასავლელი, რათა ზოგიერთ სცენაში ნატურალიზმამდე არ დაშვებულიყო და არ დაკნინებინა გმირის ხასიათის სიღიადე. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. ფსიქიურად დაავადებულის გათამაშების დროსაც მსახიობმა კამოს შინაგანი ენერგია და სულიერი სილამაზე შეუნარჩუნა.

უშუალო და მართალი იყო უკრაინის სახალხო არტისტის ვ. იარმენკოს მიერ განსახიერებული ჯარისკაცი. მდიდარი ფერებითა და უბრალოებითაა აღბეჭდილი ეს სახე. განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის სცენიურ სახეს კეთილი იუმორი, ვულუბრყვილო ადამიანის სიღიერი და მოციმციმე თვალები. ასევე მოსაწონი იყო უკრაინის რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვ. ლუბარტის დედდედა. მსახიობმა შეძლო ამ სახეში გადმოეცა რევოლუციონერთა კეთილი საქმეებით შთაგონებული, სოციალური პროტესტის წინააღმდეგ აღშფოთებული, მაგრამ ფრთხილი და დარბაისელი მოხუცი ქართველი ქალის ბუნება. ვ. ლუბარტის მიერ შექმნილი დედდედას სახე მეტად უშუალო და დასამახსოვრებელია.

მხატვრულად მთლიანი სახე შექმნა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ვ. დანჩენკომ. მისი უმცროსი ექიმის ფსიქოლოგიური განცდები, მოქმედება, ქცევა დამაჯერებელია.

მხატვრულად სრულყოფილი, უშუალობით აღსავსე სახე შექმნა უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. დავიდენკომ (უფროსი ექიმი).

ძლიერად ჩაატარა პოლიციის გამომძიებლის როლი უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. დუდარევმა. შედარებით სუსტი იყო პროკურორის როლის შემსრულებელი მსახიობი პ. გოლოტა.

არა უშავდა რა კამოს დის — ჯავაირას როლის შემსრულებელს — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. პოლინსკაიას. იგი დამაჯერებელი იყო საავადმყოფოში კამოსთან შეხვედრის დროს და პროკურორის კაბინეტში. აქ ჩვენ დავინახეთ რევოლუციონერი ქალის ხასიათის სიმტკიცე, გამბედაობა, სწრაფი მოსაზრებულობა. ძმასთან საავადმყოფოში შეხვედრის დროს მსახიობს შინაგანი უშუალობა და სითბო ახასიათებდა, მაგრამ სხვა მოქმედების შესახებ ეს არ შეიძლება ითქვას, თავის ბინაზე პოლინსკაია-ჯავაირი უფრო მშრალია.

ვერ დავიკმაყოფილა მსახიობ ა. ტიმოშენკოს სანდრომ. მსახიობის შესრულებაში ჩვენ ვერ დავინახეთ კამოს მეგობარი რევოლუციონერის ხასიათი. მსახიობმა ვერ მონახა პლატონოვი მეტყველების შესატყვისი ფორმა. მისი მსუბუქი მოძრაობა და კურდღელივით ცქმუტავ პერსონაჟის ხასიათიდან არ გამომდინარეობს.

კარგი სპექტაკლის დეკორაციული გაფორმება (მხატვარი ი. სტეფანჩუკი). მხატვარს უგრძვნია თუმა და კარგად შეუსწავლია იმ ადგილის კოლორიტი, სადაც მოქმედება ხდება. ასევე უნდა ითქვას კომპოზიტორ ა. რადჩენკოს მუსიკაზეც. გარდა იმისა, რომ მუსიკაში კარგად არის გადმოცემული მოქმედების შინაარსი, იგი მელოდიური და ამავე დროს ქართულ ინტონაციებთან დიდად დაახლოებულია.

აქვე გვინდა დრამატურგისა და რეჟისორის ყურადღება შევაჩეროთ ორ გარემოებაზე. პირველი — ფინალი როგორც პიესაში, ისე სპექტაკლში ყველაზე სუსტი ადგილია. ის ღრმად ოპოქრებული და სწორად გადაწყვეტილი არ არის. დიდად ანელებს საერთო შთაბეჭდილებას ის გარემოება, რომ საავადმყოფოდან გაქცეული კამო რევოლვერით იწყებს ბრძოლას პოლიციელებთან. აქ აშკარად ჩანს, რომ დრამატურგმა და რეჟისორმა ვერ მონახეს უფრო დამახასიათებელი ადგილი წერტილის დასასმელად და ამ იაფფასიანი სცენიური „ეფექტით“ დაკმაყოფილდნენ.

ცნობილია, რომ როდესაც კამო საავადმყოფოდან გაიპარა, იგი საზღვარგარეთ, პარიზში წავიდა ლენინთან, იქ ლენინის ახალი დავალებები მიიღო, რის შესრულებასაც მაშინვე შეუდგა. გარდა ამისა, კამოს ცხოვრებიდან სხვა მომენტიც შეიძლებოდა შერჩეულიყო, რომელიც პიესას უკეთეს დაბოლოებას, ხოლო კამოს განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლას მეტ გაბაძოლებას მისცემდა.

პიესაში ძალიან სუსტად იგრძნობა იმდროინდელი თბილისის რევოლუციური ატმოსფერო. მართალია, ეს ქმედება რეაქციის წლებში ხდება, მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციები არალეგალურად დიდ მუშაობას ეწეოდნენ. თვით კამოს საავადმყოფოდან გამოქცევის მოწყობაც ცალკეულ პროოვნებათა თაოსნობაზე როდი იყო დამოკიდებული. პიესაში არა ჩანს ბოლშევიკური ორგანიზაციის მჩქეფარე მუშაობა ოატაქეებს, ნაკლებად იგრძნობა კოლექტიური ბრძოლა კამოს ბედზე. ეს კი ნაწარმოების სერიოზული ნაკლია.

ამის მიუხედავად სპექტაკლი „კამო“ დიდად საყურადღებო მოვლენაა. მან სამართლიანად დაიმსახურა მაყურებლის გულწრფელი მადლობა.

ე. ქარელიშვილი.

ჯოუ ენ-ღაი დეღიდან გაემგზავრა

ДЕЛИ, 28 ივნისი. (საკდესი). დელის რადიო იუწყება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი დღეს დილით დელიდან რანგუნს გაფრინდა. აეროდრომზე იგი გააცილეს ნერუმ, უცხოეთის დიპლომატიური მისიების მეთაურებმა, სამი გვარეობის ჯარების სარდლებმა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა. პრეზიდენტის წარმომადგენლად იყო მისი მდივანი სამხედრო საქმეებში, აეროდრომზე ჩამწყრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა ინდოეთის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები. ჯოუ ენ-ლაი გაფრინდა ინდოეთის ავიაკომპანიის სპეციალური თვითმფრინავით. მას ახლავს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პილაი.

რანგუნში ჯოუ ენ-ლაი ესტუმრება ბირმის პრეზიდენტს და მოლაპარაკებას გამართავს პრემიერ-მინისტრთან.

კორესპონდენტებისათვის აეროდრომზე გაკეთებულ განცხადებაში ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება მას და ნერუს შორის მიმღინარეობდა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით და ამიტომ მიღწეულია ერთგვარი წარმატება. მე მჯერა, განაცხადა მან, რომ ასეთი წარმატება არა მარტო განმტკიცებს მეგობრობას ჩინეთსა და ინდოეთს შორის, არამედ ხელს შეუწყობს იმასაც, რომ განმტკიცდეს მშვიდობა აზიასა და მთელს მსოფლიოში. მან განსაკუთრებით აღნიშნა ის დადებითი როლი, რომელსაც ასრულებდა ნერუ მოლაპარაკების დროს.

სახალხო კენჭისყრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

БЕРЛИНИ, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგაზეთო იუწყება, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 27 ივნისს — პირველ დღეს სახალხო კენჭისყრისა იმ საკითხზე, თუ რას აძლევენ ხმას — „საზავო ხელშეკრულებას და საოკუპაციო ჯარების გაყვანას, თუ ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ და „საერთო ხელშეკრულებას“ და საოკუპაციო ჯარების 50 წლით დატოვებას“, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონეთა 90 პროცენტმა (მოქალაქეებმა, რომლებსაც კენჭისყრის დღეს შეუსრულდათ 18 წელი) და იმ ჭაბუკთა და ქალაშვილთა 85 პროცენტმა, რომლებიც დაშვებულ იქნენ კენჭისყრაზე (16 წლის ასაკიდან 18 წლის ასაკამდე).

რესპუბლიკის ათასზე მეტ თემში უკვე გუშინ მისცა ხმა ყველა მოქალაქემ, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ სიებში.

დანია - ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ხელშეკრულება

КОПЕНГАГЕН, 28 ივნისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 25 ივნისს ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას დანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1 წლის ვადით. დანია ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის დაახლოებით 22,5 მილიონი კრონის საქონელს — ხორცს, ცხიმეულს, თევზს, თესლეულს, ვაშლს, ფარმაცევტულ საქონელს, მანქანებს. ჩეხოსლოვაკია დანიას მიაწვდის 25 მილიონი კრონის საქონელს — ნაგლინს, ქსოვილებს, მანქანებსა და სხვადასხვა აპარატურას, ავტომობილებს, მოტოციკლებს, ტრაქტორებს.

გაზეთი „ბერლინი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ ერთიერთ მიწოდება გადიდდეს დაწესებული კვოტების გადამეტებით.

სავაჭრო ხელშეკრულებასთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმების გადასახდელთა შესახებ.

ჯოუ ენ-ლაისა და ინდოეთის მოლაპარაკების შედეგები

ДЕЛИ, 28 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურომ გადმოსცა სრული ტექსტი ერთობლივი განცხადებისა ჯოუ ენ-ლაის და ნერუს მოლაპარაკების შესახებ.

მისი აღმატებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი ჩამოვიდა დელში მისი აღმატებულების ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მოწვევით. ის აქ იყო სამ დღეს. ამ პერიოდში ორმა პრემიერ-მინისტრმა განიხილა ბევრი საკითხი, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს ინდოეთისა და ჩინეთისათვის. კერძოდ, მათ განიხილეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის დამყარების პერსპექტივები და მოვლენათა განვითარება ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთის მიმართ. ინდოჩინეთის მდგომარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, და პრემიერ-მინისტრები გულწრფელად ესწრაფვიან, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც ჟენევაში სახავენ, წარმატებით დაგვირგვინდნენ. პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნეს ერთგვარი პროგრესი, რაც მიღწეულია ჟენევის მოლაპარაკებაში დაზავების შესახებ. ისინი გულწრფელად იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში ამ ღონისძიებებს წარმატება ექნება და მათ შედეგად მიღწეულ იქნება ამ რაიონის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგება.

პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკების მიზანი იყო ყველა შესაძლებელი გზით შეეწყოთ ხელი ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია მშვიდობიანი მოწესრიგება, რაც ხორციელდება ჟენევასა და სხვა ადგილებში. მოლაპარაკების ძირითადი მიზანი ის არის, რომ უფრო ნათელი გახდეს თვითეული მათგანის შეხედულებანი, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობის შენარჩუნებას როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით.

ამის წინათ ინდოეთმა და ჩინეთმა დაღეს შეთანხმება, რომელშიც მათ ჩამოაყალიბეს განსაზღვრული პრინციპები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ეს პრინციპები შემდეგია:

1) ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა;

2) თავდაუსხმელობა;

3) ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;

4) თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა;

5) მშვიდობიანი თანაარსებობა.

პრემიერ-მინისტრები ადასტურებენ ამ პრინციპებს და გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა გამოიყენონ ეს პრინციპები აზიის სხვა ქვეყნებთან, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ნაწილების ქვეყნებთან ურთიერთობაში. თუ ეს პრინციპები გამოიყენებულ იქნება არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, არამედ აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში საერთოდ, ისინი მშვიდობისა და უშიშროების ტაძაკეცა საფუძველი გახდებიან; ხოლო საშიშროება და შეშფოთება, რაც ახლა არსებობს, ადგილს დაუთმობს რწმენის გრძნობას.

პრემიერ-მინისტრები აღიარებენ, რომ აზიისა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არსებობს სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემები. მაგრამ თუ ზემოხსენებულ პრინციპებს მიიღებენ და გამოიყენებენ და არც ერთი ქვეყანა არ ჩაერევა მეორე ქვეყნის საქმეებში, ეს განსხვავება ხელს არ შეუშლის მშვიდობას და არ გამოიწვევს კონფლიქტებს. თუ იქნება თვითეული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტია, აგრეთვე თავდაუსხმელობის გარანტია, დინტერესებული ქვეყნები მშვიდობიანად თანაარსებენენ და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა იქნება. ეს კი ხელს შეუწყობდა არსებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის ატმოსფეროს შექმნას.

კერძოდ, პრემიერ-მინისტრები იმედს გამოთქვამენ, რომ ამ პრინციპებს გამოიყენებენ ინდოჩინეთის პრობლემების გადასაწყვეტად, სადაც პოლიტიკური მოწესრიგების მიზანი უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული, გაერთიანებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, რომლებიც არ უნდა გამოიყენონ აგრესიული მიზნებისათვის ან უცხოეთის ჩარევის ობიექტებად. ეს გამოიწვევს ამ ქვეყნების რწმენის ზრდას თავისი ძალებისადმი, აგრეთვე განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას მათსა და მათ მეზობლებს შორის. ზემოაღნიშნული პრინციპების მიღება აგრეთვე ხელს შეუწყობს მშვიდობის ზონის შექმნას, რომელიც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას გარემოება იძლევა, შეიძლება გაფართოვდეს, და ამრიგად შეამცირებს ომის შესაძლებლობას და განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

პრემიერ-მინისტრებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ინდოეთსა და ჩინეთს შორის მეგობრული ურთიერთობა იქნება, რაც ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს და შესაბამისი ქვეყნების, აგრეთვე აზიის სხვა ქვეყნების მშვიდობიან განვითარებას.

ეს მოლაპარაკება წარმოიგება იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს აზიის პრობლემების უკეთ გაგებას აგრეთვე მეცადინეობის განვითარებას მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით ამ და სხვა ასეთი პრობლემების გადაჭრის საქმეში.

პრემიერ-მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მათმა შესაბამისმა ქვეყნებმა მჭიდრო კონტაქტი უნდა შეინარჩუნონ, რათა მათ შორის სრული ურთიერთგაგება არსებობდეს. მათ მადალი შეფასება მისცეს ერთმანეთთან შეხვედრისა და ერთმანეთისათვის აზრების სრულად გაზიარების ახლანდელ შესაძლებლობას, რაც გამოიწვევს უფრო ნათელი გაგებისა და თანამშრომლობის დამყარებას მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

ჩერჩილის განცხადება საუზმეზე თეთრ სახლში

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი ულალ ვაშინგტონიდან იუწყება, ჩერჩილმა თეთრ სახლში საუზმეზე კონგრესის ლიდერთა თანდასწრებით სიტყვა წარმოთქვა და „ნათლად განაცხადა, რომ საფუძვლით უეჭველ მზარს საგარეო საქმეთა მინისტრ იდენს, როგორც ამასწინანდელმა სიტყვამ, სადაც სერიოზულად იყო გაკრიტიკებული ამერიკის საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო დეპარტამენტის დიდი თანამდებობის წარმომადგენლთა მკვეთრი კომენტარები გამოიწვია. როგორც იუწყებიან, ჩერჩილმა განაცხადა, რომ მას მოეწონა იდენის შენიშვნა „რუსეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის“ შესახებ, როგორც ინგლისის პოლიტიკის საბოლოო მიზნის შესახებ. ჩერჩილმა თქვა, რომ, მისი აზრით, „ეს კარგად იყო ნათქვამი“.

როგორც იუწყებიან, ჩერჩილმა თქვა, განაგრძობს სკალი, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი, როგორც საბჭოთა პარტნიორები, კვლავ ძლიერნი და ფხიზელნი უნდა იყვნენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა კავშირთან „მშვიდობიანი თანაარსებობა“.

ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი უფრო ადრე იუწყებოდა, რომ თეთრ სახლში საუზმეზე მყოფ სენატორთა სიტყვით ჩერჩილმა თქვა: „სჯობს აწარმოებდე ძნელ მოლაპარაკებას, ვიდრე ომს, და, თუმცა ყოველთვის იარსებებს აზრთა სხვადასხვაობა ცალკეულ ქვეყნებს შორის, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ერთად უნდა იმუშაონ“.

თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე!

გ ე ს ა რ ი ო ნ ჟ ღ ე ნ ტ ი

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე შეიკრიბება მოსკოვში, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური ლიტერატურის განვითარებაში, ჩვენი ხალხის მთელ იდეურ ცხოვრებაში.

დღითიდღე ფართოვდება მზადება ყრილობისათვის. ამ მზადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს მწერალთა რესპუბლიკური ყრილობები.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა თავიანთ მეოთხე ყრილობაზე, რომელიც დღეს იწყება მუშაობას საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მოძმე რესპუბლიკების სამწერლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით, ღრმად და ყოველმხრივ უნდა განიხილონ ომისშემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის მდგომარეობა ამ დიდი ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დადგენილებიდან, ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ახალი მძლავრი აღმავლობის გარანდიოზული პროგრამიდან, რომელიც დასახულია პარტიისა და მთავრობის მიერ.

ომისშემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ყველაზე მწვავე და მტკივნეულ საკითხს მხატვრული პროზის განსაკუთრებული ჩამორჩენილობა წარმოადგენს.

საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობის შემდეგ განვლილი რვა წლის მანძილზე ქართველ პროზაიკოსებს არ მოუციათ არც ერთი სრულფასოვანი ფართო მხატვრული ტილო ჩვენი სამშობლოს ომისშემდგომი განვითარების, ჩვენი ხალხის ახლანდელი გმირული შემოქმედებითი შრომის თემებზე, თანამედროვეობის იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებს და აღელვებს ახლა კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, მშვიდობისათვის მებრძოლ მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ქართულ მხატვრულ პროზაში დღემდე არ მოგვპოვება არცერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ადამიანების, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის, კომკავშირული ახალგაზრდობის შრომისა და ყოფაცხოვრების თემებზე.

რასაკვირველია, მხატვრული პროზის ასეთ შეუწყნარებელ ჩამორჩენილობას არ შეიძლება ჰქონდეს და არცა აქვს რაიმე ობიექტური მიზეზები. ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ საუკეთესო ქართველ პროზაიკოსთა უმრავლესობა უკანასკნელი წლების განმავლობაში არ მუშაობს მათი ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის შესაფერი ინტენსივობით და ნაყოფიერებით. ზოგიერთი მათგანის შემოქმედებითი ენერგია ბოლო ხანებში უპირატესად მათ მიერ წინათ შექმნილ ნაწარმოებთა გადამუშავებას და ხელახალ გამოცემას ხმარდებოდა, ზოგიერთი ნიჭიერი ქართველი პროზაიკოსის ყურადღება და შემოქმედებითი ინტერესი ამ ბოლო წლებში მიპყრობილი არ იყო თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და პრობლემებისადმი.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მკითხველთა ფართო ფენები ცხოველი ინტერესით ეგებებიან ქართული მხატვრული პროზის ყოველ ახალ ნაწარმოებს, რომელიც მწერლობის ამ დარგში უკვე ხანგრძლივად არსებული ჩამორჩენილობის გადალახვის საიმედო ნიშნებს შეიცავს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმახსოვრებს მხატვრული პროზის ალმანახი, რომელიც გასულ წელს გამოსცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ.

ალმანახი იხსნება აკაკი ბელიაშვილის რომანის „რუსთაველი“ პირველი ნაწილით. ამ ნაწარმოების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობის თემაზეა დაწერილი და მის მთავარ გმირებს ჩვენი მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენლები შეადგენენ.

ავტორს განუზრახავს მოგვითხროს ამ ახალ რომანში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის, ქალაქ რუსთავის გაშენების ისტორია და ამასთანავე გვიჩვენოს ქართული ლითონის მდნობელთა პირველი თაობის მოწინავე ადამიანები, მათი ზრდის, მათი ხასიათის ფორმირების პროცესი.

რომანის გამოქვეყნებული ნაწილი ქარხნის მშენებლობისათვის მზადების პერიოდს მოიცავს. მასში ძირითადად აღწერილია ახალგაზრდობის შეგროვება და მისი გაგზავნა რუსეთის მეტალურგიულ ქარხნებში. ამიტომაც რომანის მთავარი პერსონაჟები ჯერ კიდევ არ არიან ნაჩვენები გაშლილ შემოქმედებითს შრომაში, საწარმოო ურთიერთობის-ვითარებაში. რომანის ამ საექსპოზიციო ნაწილში მწერალი უმთავრესად თავისი გმირების ბიოგრაფიას გვაცნობს და გვიჩვენებს მათს მხოლოდ ჩაბმას ახალი ინდუსტრიული გიგანტის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ბუნებრივია, რომ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ამ პერსონაჟების ხასიათის ზოგიერთ ნიშანს, მათი ცხოვრების ისტორიის ზოგიერთ ცალკეულ მხარეს ვეცნობით.

ამიტომ ნაადრევია და შეუძლებელიც ამ ნაწარმოების შეფასება. მაგრამ რომანის გამოქვეყნებული

გვაგზემაღლის დასაცავად

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს კომუნიკე

ვენა, 27 ივნისი. (საკ-დესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გვატემალის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციისა და გვატემალის ტექსტილის ერთიანობისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„დამშყრობთა თვითმფრინავები, რომლებიც მათ ჩრდილოეთ ამერიკის გავლენიანმა ფრეებმა გადასცეს და რომლებსაც ბაზად აქვთ ჰონდურასის აეროდრომები, განაგრძობენ მშვიდობიანი მოსახლეობის დანაშაულებრივ დაბომბვას და ცეცხლის დაშენას. ინგრევა ეკლესიები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები. დემოკრატიული ძალები და მთავრობის ჯარები ერთობლივად ეწევიან პატრიოტულ ბრძოლას უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მოგიწოდებთ მოითხოვოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს ენერგიული ღონისძიებანი“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, უაღრესად მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რაც გვატემალის მოსახლეობის მიმართ ჩადინეს დაქირავებულმა აგენტებმა, რომლებიც თავს დაესხნენ გვატემალას. დაბომბვა ოვეთმფრინავებიდან, რომლებსაც ბაზად აქვთ აეროდრომები ჰონდურასსა და ნიკარაგუაში, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგანან დიქტატორები, რომლებიც ემსახურებიან ჩრდილოეთ ამერიკის ტრესტს „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“, ინის ახალი დადასტურებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტები აშკარად ერეკვიან გვატემალაზე შეიარაღებულ თავდასხმაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას და ყველა მშრომელს კიდევ უფრო ათმაღლონ პროტესტის ხმა, რათა ბოლო მოუღონ გვატემალის მშვიდობიანი მოსახლეობის სამარცხვინო დახოცვას, მოსთხოვონ თავიანთ არჩეულ წარმომადგენლებს, მთავრობებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა შეწყდეს უცხოელთა ინტერვენცია გვატემალის მუშათა კლასისა და ხალხის წინააღმდეგ, ინტერვენცია, რომელიც ამავე დროს პირდაპირ საფრთხეს უქმნის ლათინური ამერიკის ხალხებს.

გვაგზემალის არმიის სარდლობის კომუნიკე

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. (საკ-დესი). როგორც იუნაიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ტეგუსიგალპადან (ჰონდურასი) იუწყება, გვატემალის არმიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ დღემდე წარმოებულ ბრძოლებში არმიამ ყველა სექტორში უკან დახვენა დამპყრობლებს გარდა ჩიკიმულის სექტორისა, „სადაც ბრძოლები ჯერ კიდევ გრძელდება“.

„ამ აგრესიამ, — ნათქვამია კომუნიკეში, — აიძულა არმია დაეწყო გადამწყვეტი შეტაკება ამჟამად შექმნილ განსაკუთრებულ მდგომარეობაში“. აგრეთვე იუწყებიან, რომ ინტერვენტებმა ძლიერი საჰაერო თავდასხმები მოაწყეს ჩიკიმულასა და საკაპაზე. ორმა თვითმფრინავმა ოცდაათი ას-ას გირვანქიანი ბომბი ჩამოაგდო საკაპაში, „დახოცა ბევრი სამოქალაქო პირი და გამოიწვია დიდი ნგრევა“. ერთი თვითმფრინავი თავს დაესხა ქალაქ გვატემალას. მოკლულია ორი ქალი, სერიოზულად დაიჭრა რამდენიმე კაცი.

ამერიკის შეერთებული შტატები ფუშავენ გვატემალის საჩივრის განხილვას უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 26 ივნისი. (საკ-დესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია გვატემალის თხოვნით.

სხდომაზე პირველი გამოვიდა ბრაზილიის წარმომადგენელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „მშვიდობის უზრუნველყოფის საამერიკათაშორისო კომიტეტი“ (ორგანო, რომლის დახმარებითაც ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ პოლიტიკას ახორციელებენ ლათინურ ამერიკაში. — **რედ.**) თანქოს უფლებამოსილია განიხილოს გვატემალის საჩივარი შეიარაღებული თავდასხმის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გვატემალამ უკან წაიღო თავისი საჩივარი ამ კომიტეტიდან. მან მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ არ მიიღოს არავითარი ღონისძიება მანამდე, სანამ ამ კომიტეტის „გამოძიებელი კომისია“ არ ჩავა ნიკარაგუასა და ჰონდურასში და არ მოახსენებს საბჭოს თავის დასკვნებს. ბრაზილიის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი ხმას მისცემს უშიშროების საბჭოს წინასწარი დღის წესრიგის მიღების წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს გვატემალის 19 და 22 ივნისის წერილების განხილვას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა, რომელმაც სიტყვა აიღო დღის წესრიგის შესახებ, წინადადება შეიტანა, რომ აგრესიის მსხვერპლის — გვატემალის წარმომადგენელი მოწვეულ იქნას სხდომაზე დასასწრებლად, რამდენადაც საბჭოს არ შეუძლია საკითხის განხილვა, თუ არ მოისმინა მისი თვალსაზრისი.

ლოჯმა გამოიტანა დადგენილება გვატემალის წარმომადგენლის მოწვევის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ცარაპკინმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭომ ფაქტიურად უკვე დაიწყო გვატემალის საკითხის განხილვა და ბრაზილია წინადადებას იძლევა ეს საკითხი გადაეცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, ხოლო გვატემალა თხოულობს მიღებულ იქნას ღონისძიებანი იმ აგრესიის მიმართ, რომელიც მის წინააღმდეგ მოეწყო.

ცარაპკინმა აღნიშნა, რომ თუ განხორციელდა ლოჯის წარმოდგენილი პროცედურა და დღის წესრიგი მიღებულ არ იქნა, საბჭო ამრიგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრს წაართმევს უფლებას მიაღწიოს იმას, რომ განხილულ იქნას მის მიერ წამოყენებული ბრალდება აგრესიაში.

კენჭისყრისას საბჭოს 10 წევრმა ხმა მისცა ცარაპკინის აზრის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ლოჯის დადგენილებას, რომ გვატემალა არ იქნას მოწვეული სხდომაზე დღის წესრიგის მიღებამდე.

შემდეგ გამოვიდა კოლუმბიის წარმომადგენელი, რომელიც ბრაზილიის წარმომადგენლის მსგავსად, დაჟინებით მოითხოვდა, რომ გვატემალაში შეჭრის საკითხი განიხილოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ.

ინგლისის წარმომადგენელი დიკსონი ამტკიცებდა, რომ გვატემალის პოზიცია ნათელი არ არის.

მან განაცხადა, რომ მდგომარეობის განხილვა არ შეიძლება გამოუძიებლად, და იმედი გამოთქვა, რომ „მშვიდობის უზრუნველყოფის საამერიკათაშორისო კომიტეტის „საინფორმაციო კომიტეტი“ ამ მისიით გაემგზავრება. ამავე დროს დიკსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭომ არ უნდა მოიხსნას „საბოლოო პასუხისმგებლობა“ ამ საკითხში. მან თქვა, რომ ვერ დაეთანხმება ბრაზილიასა და კოლუმბიას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საკითხი შეტანილ არ უნდა იქნას საბჭოს დღის წესრიგში, მაგრამ არა სურს ხმა მისცეს ბრაზილიის წინადადების წინააღმდეგ, ამიტომ თავს შეიკავებს წინასწარი დღის წესრიგის მიღების კენჭისყრაში.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ოპენომ განაცხადა, რომ იგი იზიარებს შეერთებული სამეფოს წარმომადგენლის თვალსაზრისს.

ლიბანის წარმომადგენელმა მალიქმა შიში გამოთქვა წინასწარი დღის წესრიგის შესახებ წინადადების უარყოფასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შეიქმნება „საშიში პრეცედენტი“, თუ უშიშროების საბჭომ უარი თქვა იმ საშიში სიტუაციის განხილვაზე, რომელსაც იგი წაყენდა. მალიქმა თქვა, რომ ხმას მისცემს დღის წესრიგის მიღების სასარგებლოდ.

თურქეთის წარმომადგენელმა და გომინდანელმა აზრი გამოთქვეს დღის წესრიგის მიღების წინააღმდეგ, ახალი ზელანდიისა და დანიის წარმომადგენლებმა დაიკავეს ლიბანის პოზიციის ანალოგიური პოზიცია.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ცარაპკინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპროცედურო ხრიკებისა და მანევრების დახმარებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს, რომელიც აგრესიის განიცდის, ართმევენ უფლებას საჩივარი შეიტანოს უშიშროების საბჭოში, რაც წესდების 32-ე მუხლის სრული დარღვევაა.

შემდეგ ცარაპკინმა განაცხადა, რომ ქალაქ გვატემალას ბომბავენ სწორედ იმ მომენტში, როცა საბჭოს წევრები მაგიდას უსხედან და განიხილავენ საკითხს, დღის წესრიგში უნდა შეიტანონ თუ არა ეს პუნქტი.

ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხის შეუტანლობა ხელსაყრელი იქნება მხოლოდ აგრესორებისათვის, და დასასრულ თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს დღის წესრიგის მიღებას.

ლოჯმა, რომელიც გამოვიდა როგორც შეერთებული შტატების წარმომადგენელი, დღის წესრიგის მიღების წინააღმდეგ გაიელაშქრა. მან განაცხადა, რომ თუ უშიშროების საბჭო პატივს არ სცემს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის „უფლებას“ განიხილოს გვატემალის საჩივარი, მაშინ ამის შედეგად ისეთი მასშტაბის კატასტროფა მოხდება, რომელიც შემცირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალ სარგებლიანობას.

ცარაპკინი, რომელმაც მეორედ აიღო სიტყვა, შეეხო ლოჯის მუქარას, რომ გაერთიანებული ერები განწირულ იქნებიან, „თუ წესდება დასავლეთ ნახევარსფეროსათვის გამოიყენეთო, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები იხელმძღვანელებენ წესდებით, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, ან წესდებისაგან არაფერი აღარ დარჩება.

შემდეგ უშიშროების საბჭომ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას. უშიშროების საბჭოს 4 წევრმა — საბჭოთა კავშირმა, ლიბანმა, დანიამ და ახალმა ზელანდიამ — ხმა მისცა დღის წესრიგის მიღებას, ხოლო ხუთმა — შეერთებულმა შტატებმა, გომინდანელმა, თურქეთმა, ბრაზილიამ და კოლუმბიამ — წინააღმდეგ. ორმა — ინგლისმა და საფრანგეთმა — თავი შეიკავა. ლოჯმა გამოაცხადა, რომ დღის წესრიგი მიღებული არ არის.

ამით დამთავრდა უშიშროების საბჭოს სხდომა.

ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკ-დესი) თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა კორესპონდენტებს გადასცა ეიზენჰაუერისა და ჩერჩილის ერთობლივი კომუნიკე. კომუნიკეში გამეორებულია დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკის პრინციპები და ნათქვამია, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებისა და ბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომი შეფერხება ზიანს მიაყენებს ატლანტიკის ქვეყნების სოლიდარობას“.

ჩეხოსლოვაკიის ხალხის მეჯრის იან შევჩიკის პროცესი

პრაღა, 29 ივნისი. (საკ-დესი). ამ დღეებში პრაღის უმაღლესი სასამართლომ განიხილა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე იან შევჩიკის საქმე. იან შევჩიკი დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა, ამეღავნებდა სახელმწიფო საიდუმლოებებს, იტაცებდა ეროვნულ დოვლათს.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის მასალებიდან გამომეღავნდა მუშათა კლასისა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების მტრის საზიზღარი სახე. 1939 წლამდე შევჩიკი იყო „ლუდაიკის“ (ფაშისტური) პარტიის დეპუტატთა კლუბის მდივანი და ამავე დროს ყვითელი პროფკავშირების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სლოვაკიაში.

1939 წლის შემდეგ შევჩიკი ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში, რათა პოლიციის ხელში ჩაეგდო პატრიოტები. შევჩიკი ეხმარებოდა ჰიტლერელებს სლოვაკიის ეროვნული აჯანყების ჩახშობაში და ფაშისტებს ხელში ჩაუგდო ბევრი აჯანყებული.

მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკია გაათავისუფლა გმირმა საბჭოთა არმიამ, შევჩიკი ვატიკანის პირდაპირი მითითებით სათავეში უნდა ჩასდგომოდა სლოვაკიის ეგრეთწოდებულ „დემოკრატიულ“ პარტიას. ბრალდებული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოღალატეებთან ზენკლთან, გალასთან, აგრეთვე ყოფილ პრეზიდენტ ბენეშთან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დასავლეთის იმპერიალისტთა დახმარებით დაკმხოთ სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი ჩეხოსლოვაკიაში და აღედგინათ კაპიტალიზმი.

1948 წლის თებერვლის შემდეგ შევჩიკმა შეძლო მიეჩქმალა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის კვალი. მალე იგი სლოვაკიის აღორძინების პარტიის თავმჯდომარე გახდა და დაინიშნა პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად. სლოვაკიის აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის დახმარებით შევჩიკი ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნული ფრონტის გათიშვა, ამეღავნებდა სახელმწიფო საიდუმლოებებს და ამითვალა სახელმწიფო სახსრების დიდი თანხა.

უდაოო მამხილებელი საბუთების გამო შევჩიკმა აღიარა თავისი მტრული საქმიანობა. მას მიესაჯა 18 წლის პატიმრობა, ჩამორთვა მოქალაქეობრივი უფლებანი და მთელი ქონება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპაჭრო დელეგაცია ლონდონში ჩავიდა

ლონდონი, 29 ივნისი. (საკ-დესი). 28 ივნისს საღამოს ყენევიდან ლონდონში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჭრო დელეგაცია.

ლონდონში ჩამოსვლისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას შეხვდნენ ინგლისის იმ 48 ფირმის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბერლინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ამასწინანდელ საჭრო მოლაპარაკებაში.

ასოციაციამ პრესის საააგენტოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ გაგზავნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ჩინეთის საჭრო დელეგაციის ჩასვლა ინგლისში იმას მოწმობს, რომ ორივე მხარეს სურს გააფართოოს საჭრო ურთიერთობა ჩინეთსა და შეერთებულ სამეფოს შორის“.



მცხეთა. წყალჯომარდობის სადგურში.

ფოტო შ. გოქაძისა.

სპორტის ამგეგი

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების წარმატება

რომი, 29 ივნისი. (საკ-დესი). გუშინ რომში სპორტული ტანვარჯიშის შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობაზე დაიწყო საგალდებულო ვარჯიშის ჩვენება. ქალთა პირველ ჯგუფში გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაგან საუკეთესო შედეგები გვიჩვენეს გოროხოვსკაიამ, ანანიამ და რუდკამ. თუმცა შეჯიბრებიდან გამოვიდა საბჭოთა გუნდის ლიდერი სსრ კავშირის ჩემპიონი მურატოვა, რომელმაც ხელი იტკინა საშინელი ვარჯიშობის მომენტში, მაგრამ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების ჯგუფმა ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა. ანიამ შეაგროვა 225,45 ქულა. ლიდერს მიჰყვებიან იტალიელი სპორტსმენები —214,67 ქულა, ბულგარელი სპორტსმენები — 213,66 ქულა.

ვაკეთა პირველი ჯგუფის საგალდებულო ვარჯიშის ჩვენების საუკეთესო შედეგები ასეთია: შვეიცარია — 333,65 ქულა, იტალია — 333,60 ქულა, ჩეხოსლოვაკია 328,35 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება.

26 ივნისს ბაზელში თამაშობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ურუგვაის გუნდი და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივი. ეს შეჯიბრება დამთავრდა ურუგვაის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:2. ამავე დღეს ლოზანაში გამართული მეოთხედფინალური ასპარეზობა ავსტრიისა და შვეიცარიის გუნდებს შორის დამთავრდა ავსტრიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 7:5.

27 ივნისს უნგრელმა ფეხბურთელებმა მოუგეს ბრაზილიის გუნდს 4:2, დასავლეთ გერმანიამ — იუგოსლავიას 2:0.

ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება დღეს, 30 ივნისს. თამაშობენ უნგრეთისა და ურუგვაის, ავსტრიისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 29 ივნისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ახალი საავტობუსო მარშრუტები

მგზავრთა საზაფხულო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 2 ივლისიდან იხსნება ახალი საავტობუსო მარშრუტები. წელს პირველად დაიწყება რეგულარული საავტომობილო რეისები თბილისი-კისლოვოდსკის მიმართულებით.

რეგულარული მიმოსვლა იწყება ერთ-ერთ ლ კუროორტს ბორჯომსა და თბილისს შორის.

რესპუბლიკის დედაქალაქს ავტობუსით დაუკავშირდება რკინიგზიდან დაშორებული კიდევ ერთი რაიონული ცენტრი — ბოგდანოვკა.

სასამართლო

ამჯერად მახეში გაება...

საგულდაგულოდ შეფუთული კოსტიუმები ბ. წვერავამ ერთხელ კიდევ გახსნა, გულდასმით გადაათვალიერა, ხელახლა შეფუთა და მოგების ბილდინით გახარებული დაბრუნდა თბილისიდან ქუთაისს. მაგრამ მის სიხარულს ფრთები ბალე შეეკვეცა — ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე საკოლმეურნეო ბაზრის მახლობლად იგი მილიციის ნუშაკებმა დაიკავეს და მილიციის გაუოფილებაში წარადგინეს.

ბ. წვერავამ თავის დაძვრენის მრავალი ცდის შემდეგ აღიარა, რომ არტელ „ინკომუნის“ სამრეწველო საქონლის ფარდულში გამგე-გამყიდველად მუშაობას იოლად ათავსებდა სპეკულაციასთან, ქუთაისიდან ახერხებდა თბილისში ჩასვლას, თავის ხელშეწყობ პირებთან დაკავშირებას, მთაგან შალის ძვირფასი კოსტიუმების შეძენას და ქუთაისში მოგებით გაყიდვას. წვერავა მაშინ დაიკავეს მილიციის მუშაკებმა, როცა თბილისიდან ჩამოტანილი 10 წყვილი შალის კოსტიუმი მიჰქონდა საკოლმეურნეო ბაზარზე სასპეკულაციოდ.

გამოძიებით აგრეთვე გამოირკვა, რომ წვერავა რამდენჯერმე იყო შენიშნული სპეკულაციაში. მაგრამ სასჯელს გადაურჩა. ბოროტმქმედმა მხოლოდ ამჯერად ვერ შეისრულა განზრახვა და მახეში გაება.

სპეკულანტ ბ. წვერავას საქმე ამას წინათ გაარჩია ქ. ქუთაისის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ე. სანდუხაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ გაქნილ სპეკულანტს მიხეილ მელქისედეკის-ძე წვერავას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

გ. ხენგავა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაკიკიძე.

თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე!

(დასასრული)

ადუნებს სიუჟეტს, უკარგავს მას მკითხველის მიზიდვისა და დაინტერესების ძალას.

ასეთ უარყოფით გავლენას ახდენს ნაწარმოების პროფესიულ მხატვრულ ღირებულებაზე მწერლის გადაკარბებულად „ფრთხილი“, გაუბედავი მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი. რაშიც თავისებურ გამოვლინებას პოულობს ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიის“ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუძლეველი გადმონაშთები.

ავტორმა უნდა გადაამუშაოს ეს ნაწარმოები, გაამდიდროს იგი ცხოვრებისეული კონფლიქტებით, დახვეწოს რომანის ენა, დიალოგის სიტყვიერი ქსოვილი. როგორც გმირთა მეტყველებაში, ისე თვით მწერლის თხრობაშიც იშვიათად როდი გვხვდება ქართული სალიტერატურო ენისათვის უცხო სიტყვები და გამოთქმები, არასწორად, უმართებულოდ აგებული ფრაზები: „ბურჩხა წარბები“, „ყველა რესპუბლიკებიდან“, „საკავშირო პირველობაზე გაისვლება“, „ღრმა ოფლი დაუდგა“, „ცდილობს მარინეს გადაუფოროს თავი“, „ზეიმურად წარმოთქვა“, „დათენდა“, „მკლავის ნაკუთალა“, „ხელმოწერეკვილი“, „უამინებთ“, „ლოტოსკოკა“, „საიასაღო მდგომარეობა“, „სლიპი“, „თავუხლარი“ და ა. შ.

მხატვრული ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა და მწერალი ვალდებულია ნაწარმოების ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა გულმოდგინედ შეარჩიოს და დაამუშაოს.

გადამუშავება ესაჭიროება აგრეთვე რ. ჯაფარიძის ახალი ნაწარმოების — რომან „ჯვარისკაცის ქვრივის“ პირველ ნაწილს, რომელიც ხსენებულ ალმანახშია გამოქვეყნებული. ნაწარმოების ცენტრში დგას ახალგაზრდა საბჭოთა ქალი ხათუნა მინდელი. მისი ქმარი შალვა, რომელიც იმერეთის სოფლის სოკოურას ერთ-ერთი მოწინავე ახალგაზრდა კოლმეურნე იყო, სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა. ხათუნა თავისი მცირეწლოვანი ბავშვებით ზეტაფონში წასულა საცხოვრებლად თავისი მშობლების ოჯახში. გასულა დრო, ხათუნას მამას, რომელიც სამოლოდ დარწმუნებულა, რომ შალვა დაღუპულია, განუზრახავს ქალიშვილის მეორედ გათხოვება. თავისი საყვარელი მეუღლისადმი უსაზღვროდ ერთგულ, თანაც ამაყ და თავმოყვარე ხათუნას მამის ასეთ განზრახვაში დაუნახავს მშობლის სურვილი, რომ თავიდან მოეშორებინა ის საგრძნობი ტვირთი, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვების რჩენა-აღზრდა წარმოადგენდა. გულმოკლულ ხათუნას სასწრაფოდ დაუტოვებია მამის სახლი და სოკოურაში დაბრუნებულა თავისი ქმრის დიდი ხნით მიტოვებულ კარმიდამოში.

რ. ჯაფარიძის რომანის გამოქვეყნებული პირველი ნაწილი ხათუნასა და მისი სამი პატარა ვაჟის სოფელ სოკოურაში დაბრუნებას, აქ მათ მიერ გატარებულ პირველ დღეებს აგვიწერს. აქაც ჯერ კიდევ ნაწარმოების საექსპოზიციო ნაწილთან გვაქვს საქმე. რომანის სიუჟეტი, მისი პერსონაჟების ურთიერთობა ჯერ მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია ნაჩვენები. მით უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორმა მოახერხა ნათლად ეჩვენებინა ნაწარმოების მთავარ გმირთა ინდივიდუალური ხასიათები. ავტორი ახერხებს გადმოგვცეს ამ პერსონაჟების ინდივიდუალური ადამიანური თვისებანი და ამასთანავე მათი ურთიერთობის უკვე დაწყებითს სიტუაციებში გვიჩვენოს საინტერესო და მნიშვნელოვანი სიუჟეტის სათავე. ამასთანავე ავტორი კარგად ფლობს გარემოცვის, მოქმედების ფონის აღწერის ხელოვნებას.

ყველა ეს ღირსება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ამ საინტერესოდ მოფიქრებული ნაწარმოების წარმატებით დამთავრების გარანტიას. მთავარი ის არის, თუ რამდენად შეძლებს ავტორი მის მიერ მკაფიოდ მოხაზული ადამიანური ხასიათები აიყვანოს დიდი განზოგადებითი ძალის ტიპიურ სახეთა სიმაღლემდე, რამდენად შეძლებს იგი გაშალოს მძაფრი, ღრმა დრამატიზმით აღსავსე სიუჟეტი, რომელმაც უნდა გამოსახოს თანამედროვეობის მოვლენათა სოციალური აზრი, საბჭოთა საზოგადოების განვითარების დინამიკა და პერსპექტივები.

ავტორმა თავი უნდა აარიდოს ერთ სერიოზულ საფრთხეს, რომელიც თავს იჩენს მისი ახალი რომანის გამოქვეყნებულ ნაწილში. ავტორი ზედმეტ გატაცებას იჩენს უცნაურობებით როგორც პერსონაჟთა ხასიათში, ისე სიუჟეტის შემადგენელ სიტუაციებში. მაგალითად, მწერალმა რატომღაც არ მოისურვა ეჩვენებინა, თუ როგორ გულთბილად შეეგებნენ მეზობლები ჯვარისკაცის ქვრივისა და ობლების დაბრუნებას მამა-პაპისეულ ოჯახში, ხოლო ამის ნაცვლად ვრცელად მოგვითხრო ეს ამბავი და ძნელად დასაჯერებელი ამბავი, თუ როგორ ერთბაშად დაკარგა წონასწორობა ხათუნას გარეგნობით მოხიბლულმა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ბორის ლოლაძემ, როგორ მიუტანენ ხათუნას პირველსავე ღამეს და ფანჯრები ჩაუმტვრიეს.

აგრეთვე უცნაურია პატარა ზურიას ეჭვიანობა მის დედასთან გაღლილი ყოველი მამაკაცისადმი, ზურიასა და მანანას პირველი შეხვედრის ეპიზოდი და სხვ. ვერ დავუჯერებთ ავტორს, რომ შუბლიერ სოფელში დაბრუნებული ხათუნა ისეთ გარემოცვაში აღმოჩენილიყო, რომ იძულებული გამხდარიყო ეთქვა: „ადამიანი მგელზე უარესია, ბორის. რა ვიცი, მე კი არავინ გამიტანა, და...“

სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი მწერლისაგან მოითხოვს ხასიათების ტიპიურობასთან ერთად გარემოცვის, მდგომარეობათა, სიტუაციათა ტიპიურობასაც.

ალმანახში მოთავსებულ ნაწარმოებს შორის ყველაზე ვრცელი, რთული და ერთი შეხედვით დასრულებული მხატვრული ტილოს შთაბეჭდილებას ახდენს ოთარ ჩხეიძის რომანი „ჯეგბირი“. ამ ნაწარმოების ღირსება ის არის, რომ მასში ომისშემდეგი პერიოდის საკოლმეურნეო სოფლის შრომითი ცხოვრებისა და ყოფის უხვი მასალაა მოქცეული, ავტორი ისწრაფვის ახასოს სინამდვილის კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, მძაფრად, მწვავედ დააყენოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის, საკოლმეურნეო სოფლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ფრიად აქტუალური საკითხები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის არც ერთ ნაწარმოებში ისე მწვავედ და გაბედულად არ გამოხატულა ომისშემდგომ წლებში საბჭოთა სოფლის განვითარების გზაზე აღმოცენებული სიძნელენი, წინააღმდეგობანი და დაბრკოლებანი, როგორც ეს მოცემულია ო. ჩხეიძის ხსენებულ რომანში.

რომანი ვრცლად და მრავალმხრივად მოიცავს საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრებას. ორი მეზობელი სოფლის — ორბისისა და თამარშენის კოლმეურნეობათა დაპირისპირებული ასახვის გზით ავტორი ისწრაფვის გააშუქოს მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ურთიერთობის საკითხი. რომანში დახატული მრავალი ეპიზოდი დამახასიათებლად გვისურათებს საკოლმეურნეო ცხოვრების თანამედროვე ეტაპს. აქ ნაჩვენებია თანამედროვე მოწინავე ტექნიკისა და ავრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართო დანერგვა და გამოყენება სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნეთა ძალებით ფართო სამელიორაციო ღონისძიებათა განხორციელება, სარწყავი არხების მშენებლობა, საკოლმეურნეო სოფლის კულტურული დონის სწრაფი აღმავლობა, სოფლის ახალგაზრდობის სულიერი ინტერესების სიფართოვე და მრავალმხრივობა. ავტორი გვიჩვენებს სოფლის კომუნისტების ავანგარდულ როლს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში, კომკავშირული ორგანიზაციის, სკოლის, მასწავლებლის საპატიო ადგილს და მნიშვნელობას საბჭოთა სოფლის განვითარებაში.

რომანში მრავალი პარალელური სიუჟეტური მოტივი დასახული, მრავალი ფრიად აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემაა წამოყენებული, მოქმედ პირთა დიდი რაოდენობაა გამოყვანილი.

ამ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალიდან ბევრი რამ ავტორის მიერ მახვილად არის დანახული და ნიჭიერად გამოხატული. მაგრამ მთლიანად, სამწუხაროდ, მწერალს თავი ვერ გაურთმევია ესოდენ მდიდარი მასალისათვის, საკითხების სიმრავლისათვის, პერსონაჟების სიუჟეტისათვის. მას ვერ მოუხერხებია გამოეყო მთავარი და წამყვანი იდეურ-თემატური მოტივი და შესაფერი სიღრმითა და სისრულით გაეშალა იგი თავის რომანში. ამიტომ რომანის სხვადასხვა სიუჟეტური მოტივები კი არ შეავსებენ ან ამდიდრებენ, არამედ ჩრდილავენ და აფერმკრთალებენ ერთმანეთს. არც ერთი მათგანი რომანში ლოგიკურად განვითარებული და სრულად გაშუქებული არ არის. მაგალითად, ავტორი გვიჩვენებს რამდენიმე ეპიზოდს რაიკომის მდივნის ირაკლი შუბითიძის შეკამათებისას გადაგვარებულ მინისტრთან და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთან, გვიჩვენებს ირაკლის მოხსნას და შემდეგ გვაუწყებს, რომ ირაკლის მდგენელნი თვითონ მოუხსნიათ. მაგრამ ასეთი დიდი საკითხი არ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში ასე ეპიზოდურად იქნას გაშუქებული. მკითხველისათვის სინტერესო სწორედ ის არის, თუ როგორ ამხილეს და დაგმეს გადაგვარებული „ხელმძღვანელები“, როგორ გაიმარჯვა დადებითმა უარყოფითზე. ამის შესახებ კი მწერალი მხოლოდ „გვაუწყებს“ ნაწარმოების ფინალში, რადგან ამ მოვლენების გამოსახატავად მას დრო და სივრცე არ ჰყოფნის უხვი მასალით გადატვირთულ რომანში. რომანის დასასრულს ვტყობილობთ, რომ ორბისის კოლმეურნეობას დაუძლევია ჩამორჩენილობა, მაგრამ ავტორი მეტად მკრთალად და არადამარწმუნებლად გვიჩვენებს ორბისელთა ბრძოლას ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, განა შეიძლება დავუჯ